პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 91 (9867) | შაბათი, 17 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვისადმი** (1-ლი გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში. საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა შვედ საზოგადო მოღვაწეს ანდრეა ანდრეენს (1-ლი გვერდი).

ვ. ჯოკაძე. — ჭიათურის მტს-ის ავ-კარგი (მე-2 გვერდი).

ვ. ბარბაქაძე. — შეუწყნარებელი უდარდელობის შედეგი (მე-2 გვერდი).

**გ. მეფისაშვილი.** — პოლიტიკური აგიტაცია სოფლად (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების გამო (მე-2 გვერდი).

**ვ. გურგენიძე.** — გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა მოთხოვნებს (მე-3 გვერდი).

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.** — შემოქმედებითი ზრდის გზაზე (მე-3 გვერდი).

**ვ. შავგულიძე.** — შუქი რიონზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# რაიონული პრესა—ახალი ამოცანების დონეზე

რაიონული პრესა საბჭოთა პრესის ყველაზე მასობრივი რაზმია. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გამოდის ოთხი ათასზე მეტი რაიონული გაზეთი. თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე რაიონული პრესა აქტიურად იბრძვის იმ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის განხორციელებისათვის, რაიონული გაზეთების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ცნობილია ბევრი მაგალითი, რომ გაზეთები მებრძოლურად, ინიციატივიანად აშუქებენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებულ შრომას, უნარიანად ეწევიან მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, მკაცრად და დამაჯერებლად აკრიტიკებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ნაკლოვანებებს სოფლად.

შეგვიძლია დავიმოწმოთ გაზეთი „სტალინსკიმ შლიახომ", რომელიც ვინიცის ოლქის ვინიცის სასოფლო რაიონში გამოდის. ეყრდნობა რა თავისი რაიონის ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, იგი უნარიანად განუმარტავს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქმის ცოდნით ეწევა სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, აქტიურად იბრძვის ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. მთელ აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ მუშაობას გაზეთი ეწევა თავისი მრავალი სოფლკორესპონდენტის აქტიური მონაწილეობით. სოფლის მეურნეობის მოწინავენი — კოლმეურნეები, სპეციალისტები, მექანიზატორები, პარტიული და კომკავშირული აქტივი — რედაქციის მუდმივი თანაშემწენი და მრჩეველნი არიან. გაზეთი უყვართ და პატივს სცემენ რაიონში, მას ყურს უგდებენ.

იქ, სადაც პარტიულ კომიტეტებს შეგნებული აქვთ ბეჭდვითი სიტყვის უდიდესი მნიშვნელობა და ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ გაზეთებს, რაიონული პრესა სოფლად პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მაგრამ, როგორც ფაქტები გვიჩვენებს, ყველა პარტიული კომიტეტი როდი ზრუნავს გაზეთების დონის ამაღლებისათვის; ბევრი რაიონული გაზეთი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ცოტა როდია უფერული, მოსაწყენი გაზეთი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სოფლელ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მხოლოდ რაიონული პრესის როლის შეუფასებლობით, გაზეთებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით შეიძლება ავხსნათ ასეთი ფაქტი. უკვე დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც კლეტნიას რაიონულ გაზეთ „კომუნისტიჩესკოე ზნამიას" (ბრიანსკის ოლქი) არა ჰყავს რედაქტორი. მთელი პასუხისმგებლობა გაზეთისათვის რაიკომმა გადააკისრა რედაქციის მდივანს, რომელიც რედაქციაში თავისი მოვალეობის შესრულებასთან ერთად სხვა დაწესებულებაშიც მუშაობს. რაღა გასაკვირველია, რომ გაზეთი მოწყვეტილია ცხოვრებას, სავსეა შემთხვევითი მასალებით და პოპულარობით არ სარგებლობს მკითხველებში.

დადგენილებით რაიონული გაზეთების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც 1952 წლის იანვარში იქნა მიღებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა სისტემატურად მოისმინონ რედაქტორთა ანგარიშები რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ და პარტიის რაიკომების მოხსენებანი ადგილობრივი პრესისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. პარტიის რაიკომების მუშაობის შემოწმებისას ისინი დეტალურად უნდა ეცნობოდნენ რაიონული გაზეთების შინაარსს, გზავნიდნენ სასოფლო რაიონებში საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებიდან გამოცდილ ჟურნალისტებს რაიონული პრესისათვის დახმარების გასაწევად. ზოგიერთი საოლქო კომიტეტი არ ასრულებს ამ მითითებებს, საკმაოდ არ ხელმძღვანელობს რაიონულ გაზეთებს, სუსტად უწევს კონტროლს მათ შინაარსს, ნაკლებად ზრუნავს გაზეთების რედაქტორთა პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ავიღოთ თუნდაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სარატოვის საოლქო კომიტეტი. საოლქო კომიტეტის ბიუროს არც გასულ, არც მიმდინარე წელს ერთხელაც არ განუხილავს რაიონული გაზეთების რედაქტორთა ანგარიშები, პარტიის რაიკომების მოხსენებანი გაზეთებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. იმის შედეგად, რომ საოლქო კომიტეტი უყურადღებოდ მიუდგა რედაქტორთა კადრების შერჩევას, ცალკეული გაზეთების რედაქტირება დაკისრებული აქვთ სუსტად მომზადებულ მუშაკებს. პარტიის ბევრი რაიკომი არ ზრუნავს თავისი გაზეთისათვის.

რაიონულ პრესას ახლა არ მოეპოვება უფრო დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. პარტიულ კომიტეტებს მოეთხოვებათ, რომ ყოველდღიურად სწვდებოდნენ რაიონული გაზეთების შინაარსს, წარმართავდნენ მათ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების, მეცხოველეობის აღმავლობის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების ძირეულ საკითხთა გასაშუქებლად. გაზეთებმა საქმის ღრმა ცოდნით, თავისი რაიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას, გამოააშკარაონ პარტიული ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი.

რაიონული გაზეთების მოვალეობაა ფართოდ და უნარიანად აშუქებდნენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას, იბრძოდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა სოფლის მეურნეობის მოწინავემ მოიპოვოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. რაიონული გაზეთები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორებს, რომლებიც წარმართავენ საკოლმეურნეო ეკონომიკის განვითარებას.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ რაიონული პრესა მთელი თავისი მუშაობით — დადებითი გამოცდილების ჩვენებით, ნაკლოვანებათა კრიტიკით — ხელს უწყობდეს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებას, რაც უმნიშვნელოვანესი ეტაპია იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. რაიონულმა პრესამ ბევრი რამ უნდა გააკეთოს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად.

რაიონული გაზეთების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების სისტემატური, ღრმა პროპაგანდა, იმ უდიდესი შინარეზერვების კონკრეტული და დამაჯერებელი ჩვენება, რომლებსაც ეს გამოცდილება იძლევა. ავიყვანოთ ჩამორჩენილი მტს-ები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები მოწინავეთა დონემდე — სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ მივაღწიოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ და მკვეთრ საერთო აღმავლობას.

რაიონულმა გაზეთებმა, თავი რომ გაართვან თავიანთ გაზრდილ ამოცანებს, საჭიროა გადაჭრით გააუმჯობესონ გაზეთის მუშაკთა კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმე. ახლა არის იმის შესაძლებლობა, რომ გაზეთების სათავეში ჩავაყენოთ პოლიტიკურად მცოდნე, საჭირო ჟურნალისტური მომზადების მქონე ადამიანები. რესპუბლიკურ და საოლქო პარტიულ სკოლებში, უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე მომზადებულია გაზეთის საკმაოდ ბევრი კვალიფიციური მუშაკი. საჭიროა უნარიანად, გონივრულად მივუდგეთ მათ განაწილებას, განვამტკიცოთ რაიონული გაზეთების რედაქციები. უფრო ფართოდ უნდა მოვაწყოთ რედაქტორების, რედაქციების მდივნების გადამზადება, უკეთ დავაყენოთ საოლქო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებთან რაიონული გაზეთების მუშაკთა პრაქტიკა, უფრო ხშირად ვბეჭდოთ ადგილობრივი პრესის კვალიფიციური მიმოხილვები.

გადაჭრით გააუმჯობესებენ რა რაიონული პრესისადმი ხელმძღვანელობას, პარტიული კომიტეტები ახალი, გაზრდილი მოთხოვნების დონეზე აიყვანენ მას, გააძლიერებენ გაზეთების აღმზრდელობითს და მაორგანიზებელ როლს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

„პრავდის" 16-IV მოწინავე.

## „კომედი ფრანსეზის" თეატრმა უკანასკნელად უჩვენა ჟ. ბ. მოლიერის კომედია-ბალეტი „გააზნაურებული მდაბიო"

15 აპრილს ევგ. ვახტანგოვის სახელობის თეატრში „კომედი ფრანსეზის" თეატრმა უკანასკნელად უჩვენა ჟ. ბ. მოლიერის კომედია-ბალეტი „გააზნაურებული მდაბიო".

დიდი ფრანგი დრამატურგის შესანიშნავი ნაწარმოები გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა, რომლებიც ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ საფრანგეთის უძველესი ეროვნული თეატრის სცენის ოსტატთა ტემპერამენტიან თამაშს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დამსწრეებმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს საფრანგეთის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს.

მაყურებლის ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა: ლ. სენიემ, ბ. ბრეტიმ, ჟ. მეიერმა, ჟ. რუერმა, მ. ესკანდმა, მ. ბუდემ, მ. საბურემ და ჟ. პიამ. თავიანთი როლები წარმატებით შეასრულეს მსახიობებმა: ჟ. შარონმა, რ. მანუელმა, ჟ. შამარამ, რ. ანრიმ, ლ. ეიმონმა, ა. როლანმა, ჟ. ლ. ჟუემამ, ჟ. პ. რუსიონმა. რეჟისორმა ჟ. მეიერმა დასამახსოვრებელი სპექტაკლი შექმნა, რომელიც ლამაზად გააფორმა მხატვარმა ს. ლალიკმა. საინტერესო ცეკვები დადგა ბალეტმეისტერმა ლ. მაიმ. ორკესტრმა დირიჟორ ა. ჟოლივეს ხელმძღვანელობით კარგად შეასრულა მუსიკა, რომელიც დაწერა ცნობილმა ფრანგმა კომპოზიტორმა ლულიმ. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა მომღერლებმა, ორკესტრის, გუნდისა და ბალეტის მსახიობებმა.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, პ. ნ. პოსპელოვი. თეატრში იყო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლ. ჟოქსი.



# ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ თქვენი სამოცი წლისთავის დღეს თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფეს და სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, მუშათა კლასის სახელოვან შვილს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ თქვენს დამსახურებას კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში, რასაც თქვენ ახმართ მთელ თქვენს სიცოცხლეს.

სამოქალაქო ომის სუსხიან დროს, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პირობებში, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში და ახლა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის მშვიდობიან პერიოდში — პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის ყველა პოსტზე თქვენ ჩვეული დაუღალავი ენერგიით, სიმტკიცით და პრინციპულობით ახმართ მთელ ძალღონეს საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა მოპოვებას, მისი კეთილდღეობის აღმავლობას, კომუნიზმის აშენებას.

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ჩვენო ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა ხალხისა და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.**

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს მას **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 16 აპრილი.

## ქალაქ მოსკოვის აგიტატორებისა და პროპაგანდისტების კრება

15 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გაიმართა დედაქალაქის აგიტატორებისა და პროპაგანდისტების კრება. საინსტრუქციო მოხსენება: „მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — 1 მაისი" გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. ა. პოლიკარპოვმა. (საქდესი).

### „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

# საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა შვედ საზოგადო მოღვაწეს ანდრეა ანდრეენს

15 აპრილს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლს, შვეციის ქალთა მემარცხენე კავშირის თავმჯდომარეს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს მედიცინის დოქტორს ანდრეა ანდრეენს.

...კრემლის სვერდლოვის დარბაზი. ნაშუადღევის ორი საათისათვის აქ შეიკრიბნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, მშვიდობის დაცვის მოსკოვის საოლქო კომიტეტის წევრები, საბჭოთა ქალებისა და ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის არიან მწერლები, საბჭოთა კულტურის მოღვაწეები, მედიცინის მუშაკები, რომლებიც მოვიდნენ, რათა მიესალმონ თავიანთ კოლეგას. დარბაზშია აგრეთვე საბჭოთა პრესის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

დარბაზში შემოდიან საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი დოქტორი ანდრეა ანდრეენი, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ნ. ს. ტიხონოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა. შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების თავდადებულ მებრძოლს.

ცხადდება კომიტეტის 1953 წლის 12 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც დოქტორ ანდრეა ანდრეენს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია. დოქტორ ანდრეენისათვის პრემიის გადაცემის წინ აკადემიკოსი **დ. ვ. სკობელცინი** მოკლე სიტყვაში ამბობს, რომ ანდრეა ანდრეენისათვის პრემიის გადაცემა იმ დღეებში ხდება, როცა მთელ მსოფლიოში ახალი ძალით ჩაღდება ხალხთა მოძრაობა დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის. „როცა მოწინავე კაცობრიობა მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობას მიაღწევს, — ამბობს აკადემიკოსი სკობელცინი, — იგი მადლობით მოიხსენიებს იმათ სახელებს, ვინც ძალღონის დაუზოგავად იბრძოდა ამ დიადი მიზნებისათვის. ამ სახელებში სამართლიანად იქნება დოქტორ ანდრეა ანდრეენის სახელი".

აკადემიკოსი სკობელცინი დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში გადასცემს დოქტორ ანდრეა ანდრეენს საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომსა და ოქროს მედალს.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის სახელით მწერალი **ნ. ს. ტიხონოვი** მხურვალედ ულოცავს დოქტორ ანდრეენს მაღალ ჯილდოს. **ნ. ვ. პოპოვა** ლაურეატს მიესალმება საბჭოთა ქალების სახელით და გულთბილად ახასიათებს მის მოღვაწეობას ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში. დოქტორ ანდრეა ანდრეენს ექიმებისა და საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების მუშაკთა სახელით ულოცავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **მ. ს. ზახაროვა** (გამალეას სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტი). საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახელით ლაურეატს მიესალმა ფაბრიკა „ბურევესტნიკის" გამომჭრელი სტალინური პრემიის ლაურეატი **მ. ი. ლევჩენკო.**

სიტყვას ამბობს შვეციის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის და ქალთა დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მოღვაწე **ქ-ნი ევა პალმერი.** იგი გულთბილი სიტყვებით ახასიათებს თავის თანამემამულეს, რომელმაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა. „შვეციას წილად ხვდა დიდი ბედნიერება, — ამბობს ქ-ნი პალმერი, — იგი უკვე თითქმის 150 წელია მშვიდობიანად ცხოვრობს. ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, და იგი გვავალებს აქტიურად განვახორციელოთ მშვიდობიანი პოლიტიკა... ჩვენს მისწრაფებაში — გავაერთიანოთ შვეციის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები — ბევრ სიძნელეს ვხვდებით. მაგრამ ამ დღეებში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გამოეხმაურნენ წყალბადის ბომბის საფრთხეს სხვადასხვა მიმართულების ადამიანები და მათ შორის არცთუ უკანასკნელ რიგში სოციალ-დემოკრატები. ჩვენს ქვეყანაში, რომლის დედაქალაქსაც წილად ხვდა პატივი თავისი სახელი მიეცა მთელ მსოფლიოში ცნობილი მოწოდებისათვის — სტოკჰოლმის მოწოდებისათვის, ჩვენს ქვეყანაში ახლა ახალმა ქარმა დაბერა. ამ ქარს შეუძლია მიგვიყვანოს ახალ სამშვიდობო ნაპირზე, როცა ხალხები განთავისუფლდებიან ომისა და სიღატაკის მუდმივი საფრთხისაგან.

დარწმუნებული ვარ, — ამბობს დასასრულ ქ-ნი ევა პალმერი, — რომ ჩვენ გავიმარჯვებთ ომისა და სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის ბრძოლაში".

თავმჯდომარე კითხულობს მისასალმებელ დეპეშას, რომელიც დოქტორ ანდრეა ანდრეენის სახელზე მოვიდა ნიუ-იორკიდან საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატ ჰოვარდ ფასტისაგან.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა დოქტორმა ანდრეა ანდრეენმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

## ანდრეა ანდრეენის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ, ძვირფასო მეგობრებო!

აქ ყველაფერი გიგანტურია. საბჭოთა კავშირი უდიდესი ქვეყანაა; მოსკოვი უზარმაზარი ქალაქია; ეს დარბაზი დიდია; თქვენი გულითადობა უსაზღვროა; პატივი, რომელიც მე დამდეთ დიდია, ხოლო თვითონ მე ძლიერ პატარა ვარ!

ჩემი ერთადერთი დამსახურება ის არის, რომ უკვე დიდი ხანია ვიბრძვი ომის წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში, მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ამას მოწმობს წერილი, რომელიც ამას წინათ შემთხვევით ვნახე. მე იგი 1928 წელს მივწერე წითელი ჯვრის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარეს, მაშინ მე ამ სამმართველოს წევრი ვიყავი. ამ წერილში ვამბობდი, რომ წითელ ჯვარს არ შეუძლია დასჯერდეს გაზის ომისაგან სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციას. სავსებით ცხადია, ვწერდი მე, რომ ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს გამოიყენებენ ომის დროს. ამიტომ ომი მომაკვდინებელი საფრთხეა კაცობრიობისათვის, და ჩვენ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ.

იმ მომენტიდან, როცა მე მივიღე ღირსსახსოვარი დეპეშა, რომლითაც მაცნობებდნენ, რომ მომენიჭა მშვიდობის სტალინური პრემია, ვცდილობდი წარმომედგინა ჩემი გრძნობები, როცა ერთ მშვენიერ დღეს ვიქნებოდი აქ, — მაგრამ ოცნება არ მეყო. და ახლანდელი მომენტიც მეჩვენება არა რეალობად, არამედ სიზმრად, მშვენიერ ზღაპრად.

მე მსურს ვიყო მჭევრმეტყველი ორატორი, რომელსაც უნარი აქვს თავისი მადლობის გრძნობა საკმაოდ ძლიერი სიტყვებით გამოხატოს. დიდი მადლობის ეს გრძნობა მარტო მე როდი მეუფლება. როცა აქ ვარ, თავს ვგრძნობ ჩემი ქვეყნის, ჩრდილოეთის ყველა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენლად. ყველაზე სასიამოვნო მთელი იმ განცდილიდან მას შემდეგ, რაც მივიღე ცნობა, რომ მშვიდობის პრემია მომენიჭა, გახდა ჩემთვის გამოგზავნილი დადასტურებანი იმისა, რომ მშვიდობის მომხრენი ჩვენს ქვეყნებში ამ ჯილდოს განიხილავენ როგორც პატივს ყველა ჩვენთვის, როგორც დიდ წახალისებას, როგორც აღიარებას და ამავე დროს როგორც მოწოდებას. სწორედ ამიტომ დღეს მადლობას გიძღვნით ყველა ჩვენი სახელით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიით ერთ-ერთი ჩვენგანის დაჯილდოების გამო.

გამოვთქვამ რა მადლობას ამ დიდი ჯილდოსათვის, ამავე დროს გმადლობთ იმისათვის, რასაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს: მშვიდობისათვის იმ თანმიმდევრული ბრძოლის გამო, რასაც მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მთავრობა და თქვენი ხალხი ახორციელებენ, რის ერთ-ერთი გამოხატულებაა მშვიდობის სტალინური პრემია. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველები იზიარებენ ჩემს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირში არსებულ საყოველთაო-სახალხო მოძრაობას მშვიდობის დასაცავად ჩვენს დროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენ, იმ ქვეყნების მცხოვრებნი, სადაც ჯერ კიდევ არ არის ფართო სახალხო მოძრაობა ომის წინააღმდეგ, ღრმად ვგრძნობთ ჩვენთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობის დაცვის მსოფლიო მოძრაობა დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა იხსნას მოსპობის საფრთხისაგან.

წინათ კაცობრიობა არასოდეს არ ყოფილა ისე საშიშ მდგომარეობაში, როგორც ახლა. მაგრამ ახლა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, არის ბედნიერი მომავლის მოპოვების წინაპირობები. ახლა ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ იმ დღის განთიადის შუქი, როცა დედამიწაზე ყველა ადამიანს შეეძლება იცხოვროს ადამიანურ პირობებში.

ამავე დროს ჩვენ განვიცდით მოსპობის საშუალებათა სრულყოფის ეპოქას. ჩვენ ვხედავთ, თუ რა დაუცხრომლად ეწევიან მოურიდებელი ძალები თამაშს, რომლის საგანია ჩვენი ცივილიზაცია, ჩვენი არსებობა, კაცობრიობის მომავალი. ამიტომ მშვიდობის დაცვა ჩვენი თაობის უდიდესი ამოცანაა. უკვე დღევანდელი მასშტაბით მშვიდობის დაცვისათვის მსოფლიო მოძრაობა დიდ საქმეებს აკეთებს. მაგრამ საჭიროა იგი კვლავ იზრდებოდეს.

დადგება დღე, როცა ყველა ქვეყნის ხალხთა მასები უარყოფენ ომს. ეს დღე იქნება კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი. ასეთია ჩვენი იმედი. მაშ განვაგრძოთ ბრძოლა მშვიდობისათვის! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

## დაიწყო სანატორიუმ „კრუტიხას" მშენებლობა

სვერდლოვსკი, 15 აპრილი. (საქდესი). ფიჭვნარში მდინარის ნაპირზე სვერდლოვსკის ახლოს დაიწყო დიდი სანატორიუმის „კრუტიხას" მშენებლობა. მთავარ კორპუსში მოთავსდება ოთახები დამსვენებელთათვის, სასტუმრო ოთახი, სასადილო, კლუბი, ბიბლიოთეკა. ამავე დროს შენდება მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლები.

სანატორიუმის მშენებლობისათვის ასიგნებულია 11,5 მილიონი მანეთი.

# ტრაქტორების მუშაობა მოუცდენლად შესძელ, მეტი საქმე, ცოტა სიტყვა, როგორც ბრძოლის ველზე!

## გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის

გორი. (საკ. კორ.). აგიტატორის საუბარი მიმზიდველი იყო.

— მე მხარს ვუჭერ, — თქვა ბრიგადირმა რ. მშვიდობაძემ, — აქ გამოსულ ამხანაგებს, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. მთელი ძალით ვიბრძოლებთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. წელს უნდა შევძლოთ ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად 24 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი, 20 ცენტნერის ნაცვლად 35 ცენტნერი სიმინდი ურწყავზე და 380 ცენტნერის ნაცვლად 550 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამასთან სულ მცირე 10-12 პროცენტით გავზრდით კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობას. ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ის ბრიგადა, რომელსაც რ. მამულაშვილი ხელმძღვანელობს.

ასე დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის გორის რაიონის სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში.

წელს კოლმეურნეობაში პირველად განხორციელდება სამინდისა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა. დაჩქარებით წარმოებს ბოსტნეულის თესვაც. უკვე დათესილია 21 ჰექტარი ხახვი, სტაფილო და სუფრის ჭარხალი.

კოლმეურნეები ი. მშვიდობაძე, ი. გასიტაშვილი, ე. მშვიდობაძე, მ. კაკაშვილი, გ. ოქროშიაშვილი, ლ. მამულაშვილი, გ. მაზიაშვილი, ე. ოქროშიაშვილი, მ. ძამაშვილი მოწინავენი არიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში.

## ორი ბრიგადა — ორი მაგალითი

კოლმეურნეობის მოანგარიშე უხალისოდ ფურცლავდა საბუღალტრო ჩანაწერებს. შარშან სამარცხვინოდ ჩამორჩა ცხაკაიას რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადა, რომელმაც ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 6 ცენტნერზე ცოტა მეტი სიმინდი. ეს დაგეგმილის მესამედიც არ არის. მაგრამ შარშანდელმა გაკვეთილმა ბევრი რამ ვერ ასწავლა ბრიგადის წევრებს. წლევანდელი საგაზაფხულო სამუშაოებიც აქ ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ეს ბრიგადა, რომელსაც კოლმეურნე პ. სიჭინავა ხელმძღვანელობს, უშუალოდ ესაზღვრება სოფელ თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას, კერძოდ — მის პირველ ბრიგადას, რომლის ხელმძღვანელია შ. არჩაია. ამ ორი ბრიგადის სახნავ-სათესი ფართობები ზუსტად ერთნაირი სტრუქტურისაა. შ. არჩაიას ბრიგადამ ერთგვარი არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად გასულ წელს 93 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18 ცენტნერი სიმინდი, რაც სამჯერ აღემატება ზემოჭალადიდელთა მიერ მიღებულ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას.

პირველი ბრიგადა უნარიანად იყენებს გაზაფხულის ხელსაყრელ დღეებს. კოლმეურნეები ადრე შეუდგნენ მინდვრად ნაკელის გატანას, ხვნას, მალე შეუდგებიან თესვას. ნესტორ არჩაიამ უკვე დაამუშავა 5 ჰექტარზე მეტი ფართობი. მირიანე შამათავა, შოთა ბებია, კონსტანტინე წურწუმია და სხვები დიდი მონდომებით უყრიან საფუძველს მარცვლეულის მაღალ მოსავალს.

ზემო ჭალადიდის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადას კი ჯერ სანახევროდაც არა აქვს დამთავრებული ხვნა. აქ არ არის მობილიზებული მთელი ძალები. 9 უღელი მუშა-პირუტყვიდან ხვნაში მონაწილეობს მხოლოდ 4, ბრიგადის ხელმძღვანელი თავს ვერ ართმევს მოვალეობას. მას სუსტად ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობა.

ამ ორი მეზობელი ბრიგადის მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ წარმატების მოპოვებისათვის მთავარია სწორი ხელმძღვანელობა, შრომის უკეთ მოწყობა, რეზერვების უნარიანად გამოყენება.

**გ. მილიუტინი,**
**ს. კუჭავა.**

## მტს-ების სოციალისტური შეჯიბრება

ამას წინათ მარტყოფის მტს-ის კოლექტივმა საგაზაფხულო სამუშაოთა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელეთის მტს-ის კოლექტივი. თელეთელებმა გამოწვევა მიიღეს და გააჩაღეს მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

კუმისის სტალინის სახელობის და თელეთის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო ქერის თესვის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს. კუმისის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა გეგმით გათვალისწინებული 140 ჰექტარი მზესუმზირას თესვა.

თელეთელ მექანიზატორთა ინიციატივით თელეთის კოლმეურნეობაში გეგმის გარეშე კვადრატულ-ბუდობრივად დაითესა 69 ჰექტარი მზესუმზირა. ასეთივე წესით კოლმეურნეობებში დათესილია 15 ჰექტარი კარტოფილი. ამ სამუშაოებში დაწინაურდნენ ტრაქტორისტები გ. ლისენკო, ვ. ძმანაშვილი, ა. ივანოვი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

## ჭიათურის მტს-ის ავ-კარგი

მანქანა-ტრაქტორთა სადგური გადამწყვეტი ძალაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ეს ნათლად ჩანს ჭიათურის მტს-ის მაგალითით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მტს-ს რაღაც ორი-სამი წლის ისტორია აქვს, უკვე იგრძნობა მისი კეთილმყოფელი გავლენა საკოლმეურნეო წარმოებაზე.

მტს-ს აქვს კარგად მოწყობილი სახელოსნო, ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები. მექანიზატორთა თავდადებული შრომით ვადამდე შესრულდა ტრაქტორების რემონტის გეგმა. დააკომპლექტეს ტრაქტორისტთა ბრიგადები.

წელს მტს-მა პირობით ხვნაზე გადაყვანით 6.000 ჰექტარი უნდა მოხნას. ჩაის პლანტაციისათვის უნდა ამოძირკვოს 40 ჰექტარი.

მართალია, წელს ჭიათურის რაიონშიც გაჭიანურებული ზამთარი იყო, რამაც, ცხადია, შეაფერხა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მაგრამ ყველა შესაძლებლობა მაინც არ არის გამოყენებული. სერიოზული მტკივნეული მხარეები არსებობს მტს-ის მუშაობაში, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობასა და კოლმეურნეობებისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობაში.

ბევრი კოლმეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა გაზაფხულს. სოფელ სვერის ლენინის სახელობის, რგანის კამოს სახელობის, ბერეთისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში სავალალო მდგომარეობაა. მათ ცუდად გამოაზამთრეს მუშა-პირუტყვი და ახლაც საკვების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ამ კოლმეურნეობებში წესრიგზე არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, არ გააჩნიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესლი.

რაიონის კოლმეურნეობებში წელს ბოსტნეული უნდა დაითესოს 115 ჰექტარზე, ხოლო კარტოფილი 45 ჰექტარზე. თითქოს უმნიშვნელო ფართობია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მისთვისაც არა აქვთ თესლი.

ცუდი მდგომარეობაა მინდვრად მინერალური და ორგანული სასუქების გაზიდვის საქმეშიც. რაიონის კოლმეურნეობებს წელს ფართობებში უნდა შეეტანათ 40.000 ტონამდე სასუქები, მაგრამ ეს სამუშაო შეუწყნარებლად ჭიანურდება.

სრულიად მოუგვარებელია სპეციალისტთა საყოფაცხოვრებო პირობები. მტს-ს არა აქვს საცხოვრებელი ბინები, სასადილო. მტს-ის სპეციალისტები და მუშა-მოსამსახურეები უმთავრესად რაიონის ცენტრში ცხოვრობენ და შვიდ კილომეტრზე უხდებათ ფეხით სიარული. მტს-თან სასადილოს გახსნის საკითხი არაერთხელ დაისვა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია, რის გამო სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ მტს-ის მუშა-მოსამსახურეები.

სოფელ ნიგოზეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსად მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტი ზ. ციცქიშვილი. იგი საქმით დაინტერესებული ახალგაზრდაა, მაგრამ კოლმეურნეობამ მას დღემდე ვერ შეუქმნა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ასეთსავე მდგომარეობაში არიან კოლმეურნეობათა სპეციალისტები აგრონომები სიმონ და შოთა გამყრელიძეები, ზოოტექნიკოსი ვ. აბესაძე და სხვები. ეს გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ რაიკომი და რაიაღმასკომი ჯერ კიდევ კონკრეტულად, ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მეტ დროს კვლავ ცნობების შეკრებას უნდება. ნაკლებად სწავლობენ საკოლმეურნეო ცხოვრების ეკონომიკას, საქმიანად ვერ ეხმარებიან კოლმეურნეობებს. ჯერ კიდევ დიდი დრო იკარგება თათბირებსა და სხდომებზე.

როგორც ჩანს, ივიწყებენ, რომ გაჭიანურებულმა ზამთარმა შეამცირა მინდვრის სამუშაოთა ვადები. ეს კიდევ უფრო ზრდის რაიონის მშრომელთა და ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობას. საგაზაფხულო სამუშაოები ვადაზე, აგროტექნიკური წესების დაცვით უნდა ჩავატაროთ, აქედანვე ვიბრძოლოთ ყველა კულტურის უხვი მოსავლისათვის.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ქვენაფკოცელ მეცხოველეთა პირველი ნაბიჯები

ქარელი. (სპეც. კორ.). სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის. შარშან კოლმეურნეობამ გადამეტებით გაანაღდა თივისა და საკვების დასილოსების დავალება, დიდი რაოდენობით მოიმარაგა დურდო და კონცენტრატები. ფერმები დააკომპლექტეს საქმისმცოდნე, ენერგიული კადრებით, გააძლიერეს ყურადღება მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობებისადმი, გააუმჯობესეს პირუტყვის მოვლა-პატრონობა. ამან ხელი შეუწყო პირუტყვის გამოზამთრების წესიერ ორგანიზაციას, თვალსაჩინოდ ამაღლდა პროდუქტიულობა.

მაგრამ პირველი წარმატებანი, რაც ქვენატკოცელებმა მოიპოვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია. მათი პირობაა უკვე მიმდინარე წელს მეცხოველეობის ფერმებში განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც კიდევ უფრო წინ წასწევენ მეცხოველეობას.

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა ნახევრად კულტურული ბინის მშენებლობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. ბინაში გაყვანილია ელექტრობა და მოწყობილია რკინიგზის ლიანდაგი, რომლის შემწეობით წარმოებს საკვების მიწოდება და ნაკელის გატანა. წელს აშენდება ტიპიური საღორე 100 სულისათვის, საფრინველე ორი ათასი ფრთისათვის და სახბორე. ამასთან ფერმებში მოეწყობა დარწყულების და საკვების შემზადების მექანიზაცია.

საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს დათესავენ 30 ჰექტარ ესპარცეტს, 30 ჰექტარ შვრიას და 10 ჰექტარ საკვებ ძირხვენებს. თვითეულ სულ პროდუქტიულ პირუტყვზე ჩადებენ 5-6 ტონა სილოსს.

## მექანიზატორთა ვალდებულებანი

ქობულეთი. (საკ. კორ.). მტს-ის მუშაკები იბრძვიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის. სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ი. ნეკრასოვი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 109 პროცენტით, დაზოგოს ათასობით კილოგრამი საწვავი. ბრიგადირმა ი. ბოცმანმა გადაწყვიტა ორი თვით ადრე შეასრულოს წლიური დავალება. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ბრიგადირმა შ. ჩახვაძემ, ტრაქტორისტმა ს. ფოკაიძემ და სხვებმა.

ქობულეთის მტს-ის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მახარაძის მტს-ი.

ქობულეთელ მექანიზატორთა ვალდებულება ითვალისწინებს სამანქანო პარკის მაქსიმალურად გამოყენებას, ტრაქტორების მოცდენის აღკვეთას.

## შეუწყნარებელი უდარდელობის შედეგი

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღდა მარცვლეული კულტურების შერჩევით თესვა. სოფელ აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობამ დათესა ქერის პირველი ჰექტარები. სოფელ კლდის ლენინის სახელობისა და აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა მინდვრებზე უკვე გავიდნენ მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები. მალე ყველგან გაჩაღდება საგაზაფხულო ხვნა-თესვა.

მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსამზადებელ სამუშაოთა შეუსრულებლობის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეობაში თესვა საფრთხის წინაშეა. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატება სათესლე ფონდების შევსებისადმი უდარდელი დამოკიდებულებით. სოფელ სვირის, წირას, პამაჯის, აბათხევისა და ქვემოსხვილისის კოლმეურნეობებს დღესაც საკმაო რაოდენობით არა აქვთ ქერის თესლი.

საკითხავია, რა წარმატების მოპოვება შეუძლია თესვის საქმეში სოფელ მინაძის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც 350 ცენტნერი კარტოფილის თესლი აკლია! მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. ფეიქრიშვილს რატომღაც არ აფიქრებს ეს მდგომარეობა.

კოლმეურნეობებს დიდი რაოდენობით აკლიათ აგრეთვე საკვები ბალახებისა და სხვა კულტურების თესლი.

რაიონის 12 კოლმეურნეობა ვალდებული იყო „ზაგოტზერნოს“ ახალციხის საწყობიდან გაეტანა ჯიშთა განახლების სხვადასხვა თესლი. ეს დავალება არც ერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია.

მოუქნელად მუშაობს ახალციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. თუმცა აქ ტრაქტორების რემონტის დავალება ვადამდე მთლიანად „გაანაღდეს“, მაგრამ რემონტის გეგმა მარტო ქაღალდზე შესრულდა. „რემონტიდან გამოსულ“ „სტზ-ნატის“ მარკის სამ ტრაქტორს რადიატორები აკლია. დიზელძრავიანი ტრაქტორები უზრუნველყოფილი არ არიან ძრავების ნაწილებით. ტრაქტორების შეკეთებაში სხვა დეფექტებიც არის.

მტს-ის დირექტორი ვ. გოგიბერიძე ურიგდება ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მან საუბარში განაცხადა:

— ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობით. არა გვაქვს მუშათა საცხოვრებელი ბინები, რის გამო ტრაქტორების შესაკეთებლად მექანიზატორებს საკუთარი ბინებიდან სამუშაოდ 20-25 კილომეტრზე უხდებათ სიარული. ჯერჯერობით არც ტიპიური სახელოსნო გვაქვს. ეს ხელს გვიშლის მუშაობაში. მოველით დახმარებას.

ცხადია, რომ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობაში ბრალი მიუძღვის როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე პარტიის ახალციხის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომს, რომლებსაც დღემდე ამ საქმეში არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

გაზაფხული ხეხილის ბაღებში აგროტექნიკურ სამუშაოთა შესრულების მნიშვნელოვანი პერიოდია. მაგრამ ხეხილის ბაღები ბევრგან უყურადღებოდ არის მიტოვებული. ამ დღეებში მტს-ის დირექტორ ვ. გოგიბერიძესთან და მთავარ აგრონომ პ. ხითარიშვილთან ერთად ვნახეთ სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღი. ჩვენს წინ გადაიშალა არასასურველი სურათი. ბაღი ბედის ანაბრად არის მიტოვებული. მცენარის ტოტები დაჩეხილია კერძო პირების მიერ, ხეები დაუზიანებია თავისუფლად მოთარეშე პირუტყვს. არ მოუწყვიათ წყალსაცავი არხები.

მტს-ის მუშაკები რატომღაც არ აღელვა ამ მდგომარეობამ.

ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ პარტიის ახალციხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა მთლიანად მიანდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკებს, თავის მხრივ ნაკლებ ცოცხალ და კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნეობებს თესვის წარმატებით ჩატარებაში.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## პოლიტიკური აგიტაცია მინდვრად

დადგა გაზაფხული, პირველი გაზაფხული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებთან დაკავშირებით დიდი მოვალეობა ეკისრებათ სოფლის აგიტატორებს.

სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ სიმინდითა და ბოსტნეულით ცნობილია ქუთაისის რაიონში. მაგრამ უკანასკნელ წლებში აქ მოსავლიანობა დაბალი იყო. სახელმწიფო დავალებები ხშირად შეუსრულებელი რჩებოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი ლიკვიდაციისათვის, გამოჰყო აგიტატორები კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის.

მეოთხე ბრიგადაში აგიტატორმა დ. ჯანელიძემ თავის საუბარში აღნიშნა, რომ შარშან კოლმეურნეობაში არ უწარმოებიათ თესვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით, რის გამო ნაკლებად იყო გამოყენებული მექანიზაცია. ცხადია, ამან ხელი შეუშალა მაღალი მოსავლის მიღებას. შემდეგ აგიტატორი შეეხო ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელად მომხდარ დიდ ცვლილებებს და ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

ბრიგადას 30 ჰექტარი ბოსტანი აქვს. წელს აგროწესების დაცვით დაამუშავეს მთელი ფართობი და დროულად გააჩაღეს თესვა. სათბურებში 8 ჰექტარზე დაითესა კიტრი, ხოლო პამიდორის ჩითილი ჩაირგვება 12.000 ტორფნეშომპალის ქოთანში. ბრიგადის გადაწყვეტილებაა წელს ერთ ჰექტარზე მოიყვანოს 95 ცენტნერი კიტრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა, ხოლო პამიდორი 175 ცენტნერი.

აგიტატორი სერიოზულად ემზადება ყოველი საუბრისათვის, წინასწარ ეცნობა ბრიგადის საწარმოო მაჩვენებლებს და მჭიდროდ უკავშირებს მათ საუბრის თემას. მაგალითად, დ. ჯანელიძემ გააკრიტიკა ბრიგადა ხახვის თესვაში ჩამორჩენისათვის და პირადად მიიღო მონაწილეობა ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციაში. როდესაც მეორე საუბარზე შეიკრიბნენ, ხახვი უკვე მთლიანად იყო დათესილი 9 ჰექტარზე. კოლმეურნეებმა პირობა დადეს ჰექტარზე ნაცვლად 80 ცენტნერისა 130 ცენტნერი ხახვი მოიყვანონ.

აგიტატორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. გამოცდილი მებოსტნეები ს. ლანჩავა, ა. კუხიანიძე, ს. ბილისეიშვილი და დ. ლანჩავა ხშირად თვითონაც ერევიან საუბარში და დაუზარებლად მოუთხრობენ კოლმეურნეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე.

კოლმეურნეობის პარტბიურომ წელს გადასინჯა აგიტატორთა შემადგენლობა, გადაწყვიტა ამ საქმეში გამოეყენებინა პოლიტიკურად მომზადებული და სოფლის მეურნეობის მცოდნე მუშაკები. შემთხვევით როდი იყო, რომ მეხუთე ბრიგადაში აგიტატორობა დაეკისრა მასწავლებელ ზ. საყვარელიძეს, რომელიც კარგად ერკვევა სოფლის მეურნეობის საკითხებშიც. საგაზაფხულო სამუშაოების გაჩაღებისთანავე აგიტატორი მინდვრად გავიდა, მხარში ამოუდგა ბრიგადირს. იგი შინაარსიანი საუბრებით რაზმავს კოლმეურნეებს ახალი წარმატებებისათვის. ბრიგადამ წელს 58 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესოს. როცა ტრაქტორებმა ამ ფართობის მთლიანად მოხვნა დაამთავრეს, აგიტატორმა შეკრიბა კოლმეურნეები და უთხრა:

— ჩვენ ყოველგვარი შესაძლებლობა მოგვეპოვება მთელ ფართობზე დავთესოთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ამისათვის გვაქვს სიმინდის სათესი მანქანები, ხელს გვიწყობს ნიადაგიც. სხვა უპირატესობათა გარდა, სიმინდის ამ წესით დათესვა შესაძლებლობას მოგვცემს ფართობის ორმწკრივი კულტივაცია მოვაწყოთ, რაც მაღალი მოსავლის მიღების გადამწყვეტი პირობაა.

აგიტატორის წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი. ბრიგადას კვადრატულ-ბუდობრივი წესით უკვე დათესილი აქვს ოცი ჰექტარი სიმინდი. ამ დღეებში მთლიანად დაამთავრებენ თესვას. საგაზაფხულო თესვის დღეებში აგიტატორმა გამოუშვა ფურცელი „ელვა“, სადაც მოთხრობილია თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, მოწინავე მთესველებზე.

აგიტატორი აქტიურად ეხმაურება ყოველ ახალ წამოწყებას. ერთ-ერთ საუბარზე კოლმეურნეებმა საკითხი აღძრეს, რომ აეთვისებინათ მიწის ახალი, წინათ გამოუყენებელი ფართობი. ბრიგადირ გ. ბოჭორიშვილთან ერთად აგიტატორმა ეს საკითხი დააყენა კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე. 7 ჰექტარი ფართობი წინასწარ გაიწმინდა ჩირგვებისაგან და მოიხნა ტრაქტორით. წელს აქ დაითესება ძირხვენები, რაც დამატებით დიდძალ საკვებს მისცემს საკოლმეურნეო პირუტყვს.

კოლმეურნეობაში სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების განვითარებასთან ერთად, ენერგიულად იბრძვიან მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ფერმებში მასობრივ-სააგიტაციო მუშაობის გასაძლიერებლად პარტბიურომ დამატებით გამოჰყო აგიტატორები. მეღორეობის ფერმაში კომკავშირელი ს. ლეჟავა საუკეთესოდ უძღვება მინდობილ საქმეს. მისი ყოველი საუბარი დაკავშირებულია ფერმის წინაშე მდგომ ამოცანებთან. ფერმაში 40 დედალორი ჰყავთ. წლის ბოლომდე საშუალოდ თვითეულ ლორზე გეგმის მიხედვით უნდა მიიღონ 14 გოჭი. 1 აპრილისათვის 21 დედალორზე უკვე მიღებული იყო 195 გოჭი. ფერმაში ღორებს კარგად უვლიან. მოთავსებული ჰყავთ ცალცალკე, კვებავენ ბაგური წესით. დაცულია სისუფთავე.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოებში კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ მოწინავეთა რიგებშია. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სოფლის აგიტატორებსაც. პარტიული ორგანიზაცია კონკრეტულად ხელმძღვანელობს პოლიტიკური მუშაობის ამ სერიოზულ უბანს. მრავალი თათბირისა და სხდომის მოწყობის ნაცვლად პრაქტიკულად ეხმარება კომუნისტებს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. პარტბიუროს მდივანს ვ. ჯანელიძეს ხშირად ნახავთ აგიტატორებთან, კოლმეურნეებთან. ამას წინათ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვ. სვანიძე აგიტატორებს ესაუბრა მორიგ ამოცანებზე, ურჩია მათ, როგორ მოაწყონ საუბრები მინდვრად.

საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში ნაყოფიერად მუშაობს კედლის გაზეთი „ლენინელი“. მისი რედაქტორი კომუნისტი ე. ჩილაჩავა და სარედაქციო კოლეგიის წევრები აგიტატორებთან ერთად ცალკეულ ბრიგადებში უშვებენ საველე ფურცლებს. კოლმეურნეობის კედლის გაზეთი საინტერესოდ და საქმიანად აშუქებს საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობას. გაზეთში მოთავსებული მასალებიდან ჩანს, რომ წელს „ლენინის ანდერძში“ დიდი მუშაობაა გაჩაღებული. დროულად დამუშავდა 545 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი, მომზადებულია 70 ჩარჩო კვალსათბურებისათვის და 100 ათასამდე ტორფნეშომპალის ქოთანი, გატანილია 150 ტონა მინერალური და ორგანული სასუქი, კვადრატულ-ბუდობრივად უკვე დათესილია 100 ჰექტარზე მეტი სიმინდი, ათობით ჰექტარი ხახვი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული კულტურები.

აგიტატორის ცოცხალი, მომწოდებელი სიტყვა რაზმავს კოლმეურნეებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის საბრძოლველად.

**გ. მეფისაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ურთიერთმიწოდების შესახებ

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად ა. წ. 15 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1954 წელს სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

ოქმით გათვალისწინებულია საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობის შემდგომი გადიდება როგორც იმ მიწოდებასთან შედარებით, რომელიც 1954 წლისათვის დაწესებულია გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებით, ისე აგრეთვე 1953 წელს მიღწეულ საქონელბრუნვასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის მარცვალს, სასურსათო საქონელს, ბამბას, მატყლს, ფერად ლითონებს, რკინისა და მარგანეცის მადანს, მინერალურ სასუქებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ტრაქტორებს, ზოგიერთი სახეობის სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონელს.

ჩეხოსლოვაკია სსრ კავშირს მიაწვდის სამგზავრო დიზელელექტრომავლებს, სამდინარო ბუქსირებს, ელექტროსადგურებს, ენერგომატარებლებს, დიზელმოტორებს, ამწეებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობას, ქიმიური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მოწყობილობას, შალეულსა და ბამბეულს, ტყავის ფეხსაცმელს, შაქარსა და სახალხო მოხმარების სხვა საქონელს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, ჩეხოსლოვაკიის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა რ. დვორჟაკმა.

## ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარება

პრაღა, 15 აპრილი. (საკდესი). გუშინ სახელმწიფო სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1949-1953 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ სამრეწველო წარმოება ხუთწლედში ერთიორად გადიდდა. მრეწველობის წილი ნაციონალურ შემოსავალში 1948 წლის 56 პროცენტიდან გადიდდა 70 პროცენტამდე 1953 წელს.

ხუთწლედის წლებში სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გადიდდა წარმოება, მაგრამ ზოგიერთ დარგში არ შესრულებულა გეგმით დადგენილი დავალებანი.

საზოგადოებრივი მოხმარება 1953 წელს 20 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1948 წელს.

სოციალისტური სექტორის წილი სახალხო მეურნეობაში 1948 წლის 61 პროცენტიდან გადიდდა 92 პროცენტამდე 1953 წელს.

სლოვაკია ჩამორჩენილი აგრარული მხარიდან სამრეწველო-ინდუსტრიულ მხარედ იქცა.

1953 წელს მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1948 წლის დონესთან შედარებით 102 პროცენტით გადიდდა, ამასთან სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება 15 პროცენტს უდრის.

წარმოების საშუალებათა წარმოების წილი სამრეწველო პროდუქციის საშუალო მოცულობაში 57,6-დან 62,3 პროცენტამდე გადიდდა, მანქანების გამოშვება 3,3-ჯერ გაიზარდა. ხუთწლედის მანძილზე გადიდდა არა მარტო წარმოების საშუალებათა წარმოება, არამედ მოხმარების საგნების წარმოებაც. შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მანძილზე 60 პროცენტით გადიდდა.

ცნობაში მოყვანილია მონაცემები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების წარმოების ზრდის შესახებ. ხუთწლედის მანძილზე ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 65 პროცენტით, ხოლო 1937 წელთან შედარებით — ერთისამად, საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 ახალი დიდი ელექტროსადგური.

თუჯის წარმოება გადიდდა 69 პროცენტით, ფოლადისა — 67 პროცენტით, ნაგლინისა — 73 პროცენტით.

ხუთწლედის მანძილზე აშენდა 24 მანქანათმშენებელი ქარხანა.

დიდი მიღწევებია ქიმიურ, კვების, პოლიგრაფიულ, ხისდამმუშავებელ და სამშენებლო მრეწველობაში.

შემდგომ განვითარდა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობაც. 1953 წლის 31 დეკემბრისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აერთიანებდნენ 262 ათას გლეხის კომლს და მათ წილად მოდიოდა სახნავ-სათესი მიწის 32 პროცენტი.

სოფლის მეურნეობამ ხუთწლედში მიიღო 14.363 ახალი ტრაქტორი, 1.175 კომბაინი, 13.577 მოსავლის ასაღები მანქანა. იმ სამუშაოთა მოცულობა, რომლებსაც მტს-ები ახორციელებენ, ხუთწლედის მანძილზე თითქმის ცხრაჯერ გადიდდა.

რკინიგზებით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ყველა სოფლის ტელეფონიზაცია. 1953 წელს აშენდა პირველი სატელევიზიო ცენტრი.

ცნობაში შემდეგ აღნიშნულია, რომ გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა კულტურული დონე. ჩეხოსლოვაკიაში დიდი ხანია აღმოიფხვრა უმუშევრობა. მუშათა საშუალო ხელფასი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხუთწლედის მანძილზე 34 პროცენტით გადიდდა, ხოლო მრეწველობაში — 56 პროცენტით.

ხუთწლედში მშრომელებმა მიიღეს 131 ათასი ბინა და თვითონ ააშენეს 46 ათასი ბინა.

ახლა ჩეხოსლოვაკიის სოფლების 97 პროცენტს აქვს ელექტრობა.

გაიხსნა 17 ახალი უმაღლესი სასწავლებელი და ახლა უმაღლეს სასწავლებელთა საერთო რიცხვმა 39-ს მიაღწია. უმაღლეს სასწავლებლებში 47 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ნაციონალური შემოსავალი 1953 წელს ორი მესამედით მეტია, ვიდრე 1948 წელს.

პირველ ხუთწლედში მიღწეული წარმატებები ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წინაშე სახავენ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პერსპექტივას.

# გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა მოთხოვნებს

1945 წელს ხაშურის საქალაქო საბჭომ დ. პაპუაშვილს სახლის გეგმა დაუმტკიცა და კავშირის ქუჩაზე 0,06 ჰექტარი სამოსახლო გამოუყო. მან იქ სახლი აიშენა და ცხოვრება დაიწყო. 1948 წელს საქალაქო საბჭომ (ყოფილი თავმჯდომარე კ. ლომიძე) ის პასუხისგებაში მისცა იმისათვის, რომ ნაკვეთში თითქოს თვითნებურად შეიჭრა. იგი გაასამართლეს, ნაკვეთი ჩამოართვეს და 300 მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს.

მას შემდეგ პაპუაშვილმა რამდენჯერმე მიმართა რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს განცხადებით ამ უკანონო მოქმედების შესახებ და კვლავ მოითხოვა სამოსახლო ნაკვეთი, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს.

რამდენიმე ხნის წინათ პაპუაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შეიტანა განცხადება, რომელიც მოსაგვარებლად ხაშურის რაიაღმასკომს გადაეგზავნა. ამ უკანასკნელმა რედაქციას აცნობა, პაპუაშვილის სამოსახლო ადგილი საქალაქო საბჭომ გამოჰყო რკინიგზის № 12 საშუალო სკოლის მშენებლობისათვის, რაც 1954 წლისთვის არის გათვალისწინებული. სინამდვილეში კი აღნიშნული ნაკვეთი სამი წელია გ. ხონელიძეს უკავია.

გასულ წელს საქალაქო საბჭომ კავშირის ქუჩაზე მცხოვრებ ბერაიას ჩამოართვა ზედმეტი ნაკვეთი და მიუზომა პაპუაშვილს, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომის განკარგულებით ბერაიას კვლავ უკანონოდ დაუტოვეს ზედმეტი ნაკვეთი. შემდეგ პაპუაშვილს მიუზომეს მოქ. ფ. თევზაძის ზედმეტი ნაკვეთი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ის არ შეუშვა მიზომილ ფართობში.

[illegible] მეტრი თავისუფალი მიწის ნაკვეთი. ამჟამად ნაკვეთის დიდი ნაწილი საქალაქო საბჭომ გაუფორმა სხვა პირს, რომელმაც იქ სახლი ჩადგა, ხოლო 0,01 ჰექტარი ფართობი მოქ. ჩიტიაშვილმა მიითვისა. ყველა ამ უკანონობის შესახებ მესხიძემ განცხადებით მიმართა რაიაღმასკომს, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი დღემდე არ მიუღია.

დაბა სურამში მცხოვრები (ოქტომბრის ქ. № 8) მ. შალიბაშვილი, როგორც ავადმყოფი, 1950 წელს მოთავსებულ იქნა სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იმის გამო, რომ შალიბაშვილს მემკვიდრე არა ჰყავს, სადაბო საბჭომ მისი სახლისა და ბაღის დასაცავად იქ შეასახლა 8-წლიანი სკოლის დარაჯი ი. ნოზაძე. მან სახლი შეაკეთა, ეზო შემოღობა და დღემდე ცხოვრობს.

1953 წლის 21 ივლისს ხაშურის რაიაღმასკომმა გამოიტანა სრულიად უკანონო გადაწყვეტილება შალიბაშვილის სახლის გაყიდვის შესახებ. აღმასკომის გადაწყვეტილებაში ნათქვამია (ტექსტს უცვლელად ვტოვებთ): „გამოსახლდეს მოქალაქე ი. ნოზაძე, მ. შალიბაშვილის სახლიდან და გადაეცეს ბინა სურამის სადაბო საბჭოს, რომელიც გაიყიდოს და თანხა მ. შალიბაშვილს დაუბრუნდეს მის განკურნების შემდეგ, ხოლო ი. ნოზაძემ გადაიხადოს ბინის ქირა“. გადაწყვეტილების მეორე მუხლის ძალით შალიბაშვილის ბაღს უნდა ჩამოეჭრას აგრეთვე 0,03 ჰექტარი (თუმცა ნაკვეთი ნორმაც არ არის) და გადაეცეს მეზობლად მცხოვრებს ს. ნოზაძეს.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ ხაშურის [illegible]

[illegible]

ვ. [illegible],
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

[illegible]

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საიდანაც გვატყობინებენ, რომ აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. პურსაცხობის გამგე იმედაძე მოხსნილია სამუშაოდან. პურსაცხობმა მუშაობა გააუმჯობესა.

* * *

გორის რაიონის სოფელ საქაშეთის კოლმეურნეობა წლობით ვერ ასრულებს სასოფლო- [illegible]

ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის გორის რაიკომის მდივანი ამხ. ი. რთველიაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიურომ ურჩია კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას სამუშაოდან მოხსნას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნონიაშვილი, როგორც შეუფერებელი.



[illegible] ფოტო ვ. [illegible].

## ახალი წარმატებებისათვის, ახალგაზრდებო!

15 [illegible]

[illegible]

## კომკავშირელთა პირველი ჯგუფი ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ჩავიდა

[illegible]

ლაჯანურჰესის მშენებლებმა ჩამოსულებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. თბილისელი ახალგაზრდობის ჩამოსვლისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა ენერგომშენებელთა საზეიმოდ მორთულ კლუბში. კომკავშირელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ლაჯანურჰესის მშენებლობის უფროსმა გ. წულეისკირმა.

მოხალისეების სახელით სიტყვა წარმოთქვა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემ- [illegible] რაიკომის მდივანი გ. ჩახიანი, კომკავშირის თბილისის კომიტეტის მუშა ახალგაზრდობის განყოფილების გამგე რ. მაღრაძე და კომკავშირის ცაგერის რაიკომის მდივანი ჯ. სვანიძე.

მიტინგის შემდეგ ჩამოსულები დააბინავეს კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში. თბილისელ კომკავშირელთა ერთი ნაწილი 17 აპრილს უკვე შეუდგება მუშაობას.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# შემოქმედებითი ზრდის გზაზე

შალვა ამისულაშვილი ნათელი ლირიკული ხმის პოეტია. მის ლექსებში მკაფიოდ გამოსჭვივის ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ღრმა ოპტიმიზმი. პოეტს ეხერხება საბჭოთა ადამიანის განცდებისა და გრძნობების გამოხატვა. ამას მოწმობს სახელგამის მიერ ახლახან გამოცემული მისი წიგნი „ბალადა სიყვარულისა“. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულება განსაზღვრავს მასში მოთავსებული ლექსების ძირითად იდეურ შინაარსს. პოეტი მიმართავს ჩვენი სამშობლოს ბედნიერების კონსტიტუციას:

შენ შრომისა და მშვიდობის გარდა
ღერბზე სხვა რამე არ გახატია,
მტრებსვე წალეკავს ომების წარღვნა,
როცა პარტია ჯავშნად გვარტყია.

ლენინ—სტალინის დიადი პარტიისადმი ღრმა სიყვარულით გამთბარი ეს სტრიქონები საბჭოთა ადამიანის ფიქრისა და გრძნობის გამოხატულებაა. ამავე თემატიკურ რკალს განაგრძობენ ლექსები: „უნაპიროა ჩემი სამშობლო“, „დონის გადალახვა“, „დღეს არის ჩემი ახალი წელი“ და ბევრი სხვა.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებანი ასაზრდოებს შ. ამისულაშვილის პოეზიას. ამ თემაზე მან რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შექმნა. პოეტს განსაკუთრებით იტაცებს თავგადახდილი მეომრის ცხოვრება. ღრმა პოეტური განცდით არის დაწერილი „რკინის ლაგამი“, სადაც გამოხატულია მეგობრობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის სულისკვეთება.

შ. ამისულაშვილის წიგნში რამდენიმე საინტერესო ლექსია შეტანილი ხალხთა მეგობრობის თემაზე („ვიხაროთ, ძმებო“, „სამარყანდული ხალიჩა გორში“, „ეს ღრუბლებიც მშობლიური ღრუბლებია“). მათში მკაფიოდ ჩანს, თუ რა დიდ განვითარებას და აყვავებას მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანმა ხალხებმა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად. ყველა ეროვნების ადამიანი დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ერთიანი შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული. ამიტომ ამბობს პოეტი, ჩვენ მეგობრობის ერთი მზე გვაწრთობსო.

განახლებული სამგორის ცხოვრებას შ. ამისულაშვილმა უძღვნა ლექსი „აქ ზღვა იქნება“. ამ ლექსში ვხედავთ ხვალინდელი აყვავებული სამგორის სურათს:

სამგორისაკენ ჩქარობს ხომალდი,
„თბილისი“ არის სახელი მისი;
ჯავშნად რუსთავის აკრავს ფოლადი —
საოკეანო გემების ღირსი.

სამგორის გადატრუსული ველი საბჭოთა ადამიანის ნებამ უჩვეულოდ ააღორძინა:

ატამი ატამს ღიმილით უმზერს,
გულაბს გულაბი ედიდგულება;
მარგალიტები უელავს ყურძენს, —
ღრეობაშია მთელი ბუნება.

შალვა ამისულაშვილი თავისებური პოეტური ხმის შემოქმედია. მთელი რიგი ლექსები გვარწმუნებს, რომ პოეტი სიტყვაზე მუშაობს სერიოზულად ეკიდება. შესანიშნავია ლექსი „აქედან გავხსენ ქვეყნის კარები“, სადაც სოციალისტური სოფლის მაჯისცემა იგრძნობა. ავტორი ნათელი პოეტური ფერებით ხატავს საკოლმეურნეო სოფლის პეიზაჟებს, ძველი და ახალი ცხოვრების დაპირისპირების გზით ახერხებს კოლმეურნეთა ბედნიერი ცხოვრების ასახვას. როგორია თვით პოეტის მხატვრული სიტყვის ძალა?

...ყველგან ტაშებების ისმის კისკისი
და ტრიალებენ ცაში მტრედები.
დგას იისფერი, როგორც ზღვის პირას,
და გემებს გვანან ლურჯი ქედებიც.
გასცქერი სივრცეს, და გჯერა, გჯერა:
მომავლისაკენ მისცურავ გემით.
წამი წამს მისდევს, გიტკბება მზერა,
საასპარეზოდ გაშლილან გზები.

სურათი ნათელი, ადვილად წარმოსადგენია, და მკითხველიც თავს გრძნობს იქ, სადაც „დუმან ვეება კაკლის ხეები“, ხოლო „მათ დიდ რტოებში გახლართულ ღრუბელს მიარღვევს მთვარე, როგორც სახნისი“. პოეტის იდეური ჩანაფიქრი გამოკვეთილი და სახოვანია:

აქ ძველად გამრჯე კაცის ქონებას
ერთი კურდღელიც აიკიდებდა,
ქარმა წაიღო ეს მოგონება,
დღეს ცამდის აღწევს ხალხის დიდება.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში ჯერ კიდევ სუსტად ისმის სალი სატრფიალო ლირიკის ხმები. ამ მხრივ მეტად საინტერესოა შ. ამისულაშვილის ის ლექსები, რომლებიც ფაქიზად გადმოსცემენ საბჭოთა ადამიანის მდიდარ ლირიკულ განცდებს. აქ მთავარი ის არის, რომ სიყვარული აბსტრაქტული, ვიწრო ინტიმური განცდა არ არის, არამედ დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოვლენებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა „ბალადა სიყვარულისა“ და „არ დაელიოს თვალში ნათელი“, სადაც მსუბუქ ლირიკულ სტრიქონებში გადმოცემულია საბჭოთა ადამიანის სულიერი განწყობილება.

პოეტი გაზაფხულის გაღვიძებული ბუნების სურათებს ორგანულად უკავშირებს ჩვენს თანამედროვეობას.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ ლექსებს ახასიათებს ინტონაციური მრავალგვარობა. სახეები ნათელი და გამოკვეთილია, მცირეა ყრუ, ბუნდოვანი სტრიქონები.

ყველა ამ ღირსებასთან ერთად წიგნს აქვს ნაკლოვანებანიც. მასში არ იგრძნობა თემატიკური მრავალფეროვნება. გვხვდება გაუმართავი, სიზუსტეს მოკლებული ფრაზები. მაგალითად: „ვჯომარდობდით ჯომარდები“, „ცვარნამის მცვრევით“, „ჟანგი დაჰფენია იარაღზე“ (ჟანგი ეკიდება და არა ეფინება!). რას ნიშნავს „სამშობლოს ზეცა მზეში გაცრილი“, ანდა „ფიცის გალავანი“, „ჩვენთვის იდილებს დილა ცისმარი“? მხატვრულად სუსტია ლექსი „ჩემს დაცხრილულ შინელს (?) ვფიცავ“.

საერთოდ, შალვა ამისულაშვილის ახალი წიგნი მოწმობს, რომ პოეტი შემოქმედებითი ზრდის გზაზეა და ენერგიულად მუშაობს თავისი მხატვრული ოსტატობის ასამაღლებლად.

ს. არღუნელი,
ვ. კიკნაძე.

# შუქი რიონზე

დაჭრილი ლომივით იბრძვის და გმინავს ვიწრო კალაპოტში მომწყვდეული რიონი. ქვებს ქვებზე ახლის, ტალღას ტალღაზე სცემს, გულამღვრეული და აბობოქრებული გაასკეცებული ძალით აწყდება ახლადაგებულ ზღუდეს, რათა წალეკოს და თავისუფლად გაინავარდოს. გაზაფხულის დღეებმა მთლად გაახელა ისედაც შმაგი რიონი: ადიდებული და აზავთებული მთასავით ტალღებს მოაქანებს და ღრიალით უტევს მის წინ აღმართულ მიწაყრილს.

მაგრამ ამაოდ! რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის მიწაყრილს საიმედოდ გადაუკეტავს გზა მდინარისათვის და აიძულებს მას იდინოს სხვა ადგილზე, იქ, სადაც საბჭოთა ადამიანებმა მიუთითეს. ეს მეორედ გაუმართეს ბრძოლა ჩვენმა ადამიანებმა რიონს, ეს მეორედ მოინდომეს მისი დამორჩილება და ხალხის სამსახურში ჩაყენება. მანამდე დაუმორჩილებელმა მდინარემ პირველი დამარცხება რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისაგან განიცადა. მაგრამ ეს არ აკმარეს: ახლა მას გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლები იმორჩილებენ, წარმატებით იყენებენ რა რიონჰესელთა გამოცდილებას.

გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. რიონჰესთან შედარებით იგი ორჯერ-ორნახევარჯერ უფრო მეტ ელექტროენერგიას მოგვცემს. გუმათჰესის აგებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საქართველოს შემდგომი ზრდისა და აყვავებისათვის. იგი იაფ ელექტროენერგიას მიაწვდის რუსთავის მეტალურგიულ გიგანტს, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებს, რკინიგზის ტრანსპორტსა და ჭიათურის მარგანეცის მაღაროებს, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, კიდევ უფრო მძლავრად გაჩირაღდნებს ილიჩის ნათურებით მშრომელთა ბინებს.

ამ გაზაფხულზე გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ახალი ძალით გაჩაღდა. გაზაფხულმა თითქოს ახალი ძალა და ენერგია შემატა მშენებლებს. მაგრამ ზამთრის დღეებშიც, როცა ქარი და ყინვა მძვინვარებდა, ადამიანები გმირული შრომის, სიძნელეთა მამაცურად გადალახვის ბრწყინვალე მაგალითებს გვიჩვენებდნენ.

ჰესის მშენებლობის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება 15 იანვარი. ამ დღეს მშენებლებმა წარმატებით დაამთავრეს მრავალი დღის გმირული შრომა — მდინარე რიონმა მიმართულება იცვალა და ახალ კალაპოტში დაიწყო დენა, განთავისუფლებულ ადგილზე კი დაუყოვნებლივ გაჩაღდა კაშხალის ქვაბულის სამუშაოები.

— რიონის ახალ კალაპოტში გადაგდება, — მოგვითხრობს ინჟინერი რევაზ კლდიაშვილი, — უდიდეს შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. თავისი კალაპოტიდან მდინარის მარცხენა მხარეზე გადასაგდებად საჭირო იყო ასობით ათასი კუბმეტრი კლდის სამუშაოების შესრულება. ამას გარდა მდინარისაგან განთავისუფლებული ადგილის შემოსაფარგლავად უნდა აგვეგო ზღუდარი, რომელიც გზას გადაუღობავდა რიონს. ამ ნაგებობის ამოსაყვანად რამდენიმე ათეული ათასი კუბმეტრი მიწაყრილისა და თითქმის ამის ნახევარი ბეტონისა და ქვის სამუშაოები იქნა შესრულებული.

ეს იყო ჰესის მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები და დაკვრითი წესით შესასრულებელი სამუშაო. სწორედ ამ საბრძოლო უბანზე იქნენ დაყენებული მეექსკავატორეთა, მიწისმთხრელთა, მბურღავთა და მებეტონეთა საუკეთესო ბრიგადები, რომლებსაც კონსტანტინე მესხი, დიმიტრი მიქელოვი, ვასილ გორშკოვი და სხვები ხელმძღვანელობენ. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანებმა, რომლებსაც ორთაჭალჰესის მშენებლობაზე გამოწრთობილი ინჟინერი კომუნისტი დავით ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს, ნამდვილი თავდადება გამოიჩინეს, ყველა სიძნელე გადალახეს და მდინარე რიონს მიმართულება შეუცვალეს.

დაუფარავი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს პირველი საამშენებლო უბნის პარტგრუპორგი თამაზ ქოქოსაძე მშენებლობის მოწინავე ადამიანებზე, მათი შრომითი გამარჯვებების შესახებ. 17 მარტი მშენებლებმა კიდევ ერთი ახალი შრომითი წარმატებით აღნიშნეს. ამ დღეს კაშხალის მარჯვენა ყრუ კედელში დიმიტრი მიქელოვის მებეტონეთა ბრიგადამ პირველი კუბმეტრი ბეტონი ჩაასხა. ამით ახალ ფაზაში შევიდა გუმათის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა — დაიწყო მძლავრი რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალის აგება.

ორი მხრიდან — აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან — მშენებლობა მთებით არის შემოზღუდული. ახლომდებარე გორაკიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი მშენებლობა: მიწაყრილი, რომელსაც მდინარე გადაუღობავს; გრძელხორთუმიანი ექსკავატორები, რომლებიც სადერივაციო არხის გათხრაზე მუშაობენ; მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული ქალაქი ლამაზი ორსართულიანი სახლებითა და ფართო, სწორი ქუჩებით.

— რამდენიმე წლის წინათ აქ, ამ ადგილზე, — ამბობს მშენებლობის უფროსის მოადგილე ნ. ჩიქოვანი და ხელს მშენებელთა ქალაქისაკენ იშვერს, — გაუვალი ჭაობი იდგა და ძველი წისქვილი ღირღიტებდა. ახლა კი აქ სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს! ყოველივე ეს ამ მოკლე ხანში გაკეთდა პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობის შედეგად. აშენებულია 15 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა, 300-ადგილიანი კლუბი და სასადილო 220 კაცისათვის. აგებულია და მშენებელთა სამსახურშია ჩაყენებული სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამი მაღაზია, საავადმყოფო და პოლიკლინიკა, რვაწლიანი სკოლა რუსული და ქართული განყოფილებებით, აბანო და სამრეცხაო, პურის საცხობი და ფოსტა, საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგა, სამკითხველო და სტადიონი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სახელოსნოები.

პირველ ხანებში მშენებლები დამხმარე საწარმოებს აგებდნენ. მათ სულ მალე შექმნეს მძლავრი საწარმოო ბაზა. აშენდა ბეტონის მექანიზებული ქარხანა, საარმატურო და მექანიკური საამქროები, ხის დამმუშავებელი კომბინატი და პარკი ავტომანქანებისათვის. და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩაღდა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მთელი გაქანებით. სიონმშენიდან და ორთაჭალჰესიდან, სამგორწყალმშენიდან და ხრამჰესიდან გუმათჰესში ჩამოვიდნენ სიძნელეებთან ბრძოლაში გამოწრთობილი, უშიშარი და გამოცდილი ჰიდროენერგომშენებლები — მებეტონეები და მიწის მთხრელები, კლდის მნგრეველები და მბურღავები, მეექსკავატორეები და ბულდოზერისტები, მესკრეპერეები და ავტომძღოლები.

აპრილის თბილმა მზემ უფრო მეტი ძალა და ენერგია შემატა მშენებლებს. დიდი მუშაობაა ამჟამად გაჩაღებული სადერივაციო არხის მშენებლობაზე. რამდენიმე კილომეტრზე გაშლილა არხის მშენებელთა კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ზაალ პატარაია ხელმძღვანელობს. ამ ორიოდე წლის წინათ მოვიდა იგი აქ პირდაპირ ინსტიტუტიდან. პირველად მან ოსტატად დაიწყო მუშაობა. როცა საკმაო გამოცდილება შეიძინა, იგი სამუშაოთა მწარმოებლად დააწინაურეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ უბნის ხელმძღვანელობა ჩააბარეს.

სადერივაციო არხის გათხრაზე მუშაობენ მთელ მშენებლობაზე სახელგანთქმული ადამიანები. პროფესიების მიხედვით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა მეექსკავატორე ივანე დებელამ. იგი ყოველდღიურ ნორმას 150-180 პროცენტით ასრულებს და თვეში 2.000 მანეთამდე ხელფასს იღებს. მძლავრ ექსკავატორზე, რომლის ციცხვი ერთდროულად 7 ტონა მიწას იღებს, მაღალნაყოფიერად მუშაობს კომუნისტი ა. ჯავახაძე. მოწინავეთა რიგებში არიან კლდის მნგრეველი ე. მინიბაევი, ამფეთქებელი რ. ტომაევი, ავტომძღოლი მ. ავალიანი, ბულდოზერისტი ა. კატონინი.

გუმათჰესს აშენებს მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან გუმათში განუწყვეტელ ნაკადად მოდის მანქანები და მექანიზმები, მოდიან გამოცდილი მშენებლები. მშენებელთა კოლექტივი ხალხთა ერთიან მეგობრულ ოჯახად ცხოვრობს. საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსი და ქართველი, უკრაინელი და სომეხი, ბელორუსი და აზერბაიჯანელი. საერთო შრომაში იზრდება და მტკიცდება ხალხთა ძმური მეგობრობა.

სოციალისტური შეჯიბრების სული და გული არიან მშენებლობის კომუნისტები და კომკავშირელები. თავიანთი მუშაობით ისინი მაგალითს აძლევენ დანარჩენ მშენებლებს. არც ერთ უბანზე და ბრიგადაში, არც ერთ საამქროში არ არის კომუნისტი და კომკავშირელი, რომელიც გეგმას ვერ ასრულებდეს. და მიუხედავად ამისა მშენებლობა ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმას, ვინაიდან მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდის. დიდი სიხარულით შეიტყეს გუმათჰესის მშენებლებმა თბილისელ კომკავშირელთა თაოსნობის ამბავი. ამ პატრიოტულ ინიციატივას საქართველოს მთელი ახალგაზრდობა გულმხურვალედ გამოეხმაურა:

— წავიდეთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე!..

მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ვარლამ სვანაძემ დიმიტრი მიქელოვის მებეტონეთა ბრიგადის წევრებს წაუკითხა რესპუბლიკურ გაზეთებში დაბეჭდილი ახალგაზრდა პატრიოტთა წერილები.

— მაშ გადაწყვეტილია: მოდიან, ჩვენს დასახმარებლად მოდიან! — მოწონებით თქვა დიმიტრი მიქელოვმა და, თითქოს იმ უცნობ ახალგაზრდებს უპასუხებსო, ღიმილით დაუმატა: — მობრძანდით, ძვირფასო მეგობრებო, გელოდებით!

მშენებლის პროფესია მძიმე, მაგრამ ამასთან კეთილშობილური და საპატიოა. ეს იციან გუმათჰესის სახელოვანმა ადამიანებმა, იციან ეს ახალგაზრდა პატრიოტებმაც, რომლებიც ისწრაფვიან ჩადგნენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა რიგებში. მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე იამაყებენ ისინი ჰიდროელექტროსადგურებით, რომლებსაც საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ ააგებენ. ხოლო მათ მიერ მდინარე რიონზე გაჩირაღდნებული მძლავრი ელექტროშუქი ქვეყანას მოუთხრობს მამაცი ადამიანების გმირულ და თავდადებულ შრომაზე.

ვ. შავგულიძე.

გუმათჰესი. აპრილი.



მესამე სამშენებლო უბნის უფროსი ზ. პატარაია (მარჯვნივ) დავალებას აძლევს ამავე უბნის სამუშაოთა მწარმოებელ კომკავშირელ ა. [illegible]. ფოტო ბ. [illegible].

## დამთავრდა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 15 აპრილი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. [illegible]

## საბჭოთა დოკუმენტალური ფილმები ინგლისში

ლონდონი, 15 აპრილი. (საკდესი). [illegible]

## ბულგარეთს ჩავიდნენ საბჭოთა ფეხბურთელები

სოფია, 15 აპრილი. (საკდესი). [illegible]

## ინდოჩინეთში ჩავიდა ამერიკელი გენერალი

პარიზი, 15 აპრილი. (საკდესი). [illegible] 14 აპრილს იქ ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ერლ პატრიჯი.

ამ ჩასვლას აქ უკავშირებენ ინდოჩინეთის ომში ამერიკის ჩარევის გაფართოებას.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). [illegible]

## გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად

### დემოკრატიული ბლოკის კომუნიკე

ბერლინი, 15 აპრილი. (საკდესი). [illegible] ზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" გამოაქვეყნა კომუნიკე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების დემოკრატიული ბლოკისა, რომელმაც თავის 1954 წლის 13 აპრილის სხდომაზე განიხილა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის შედეგები და, განსაკუთრებით, დოკუმენტი, რომელიც ყრილობამ მიიღო — „გერმანელი ერის სასიცოცხლო საკითხთა გადაწყვეტის გზა".

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საფუძვლიანი განხილვის შედეგად მიღწეულ იქნა სრული თანხმობა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა გერმანელი პატრიოტისათვის. ეს ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ სიტყვებში გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჰ. ლოხმა, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ნუშკემ, სახალხო პალატის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა დეპუტატმა ბ. როზემ, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა დეპუტატმა გ. ხომანმა, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ვარნკემ, გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ტილემ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს ვ. ულბრიხტმა და გ. მატერნმა.

დემოკრატიულმა ბლოკმა, ნათქვამია კომუნიკეში, მიიღო გადაწყვეტილება შესწავლილ იქნას ყრილობის დოკუმენტი ბლოკის ყველა საოლქო, რაიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციაში, აგრეთვე ყველა პარტიასა და მასობრივ ორგანიზაციაში, გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებსაც ეს დოკუმენტი შეიცავს.

კომუნიკეში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ თვითონ გერმანელებს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ნათქვამია კომუნიკეში, სავსებით აუცილებელია მოლაპარაკება გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენელთა შორის, მთავრობებს ან პარლამენტებს შორის.

საგარეო პოლიტიკის დარგში ბლოკი ერთსულოვნად აღიარებს, რომ გერმანიის მეზობელ სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან, უკვე არსებული მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და რომ ასეთივე ურთიერთობა უნდა დამყარდეს ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მიღწეული წარმატებანი, რომლებიც იმ ფაქტით გამოიხატა, რომ მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და ხელოსნების მდგომარეობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკეთესია, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში, კვლავაც უნდა განვითარდეს, რათა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ შეიგნოს, თუ რა გზით უნდა იაროს მთელმა გერმანელმა ხალხმა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად. ამ დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტის ინტერესებისათვის ყველა პარტიისა და მასობრივი ორგანიზაციის წევრებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ხუთწლიან გეგმას მოჰყვეს ახალი წარმატებანი, რომლებიც ნიმუში იქნება მთელი გერმანიისათვის.

დემოკრატიულმა ბლოკმა მოიწონა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის წინადადება, რომ შემოდგომაზე მოეწყოს სახალხო პალატისა და საოლქო საბჭოების არჩევნები.

## საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 15 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე დიენ-ბიენ-ფუსათვის წარმოებული ბრძოლების მიმდინარეობის შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დიენ-ბიენ-ფუზე შეტევის მეორე ეტაპის მსვლელობაში, რომელიც 3 აპრილს დამთავრდა, ვიეტნამის სახალხო არმიამ მოსპო მოწინააღმდეგის თავდაცვის 6 დასაყრდენი პუნქტი.

არასრული მონაცემებით, ვიეტნამის სახალხო არმიამ დიენ-ბიენ-ფუზე ორი შეტევის დროს მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 5.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, რაც შეადგენს ალყაშემორტყმულ ციხეში მყოფი საფრანგეთის ჯარების საერთო რაოდენობის ორ მეხუთედს. ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს მტრის 50 თვითმფრინავი, 5 ამერიკული 18-ტონიანი ტანკი, ცეცხლი გაუჩინეს საწვავისა და საომარი მასალის 7 საწყობს და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საომარი მასალა.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ვიეტნამის სახალხო არმია წარმატებით განაგრძობს იერიშებს № 5 სტრატეგიული გზატკეცილის რაიონში, რომელიც ხანოისა და ხაიფონს აკავშირებს.

11 მარტიდან ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ამ გზატკეცილზე მოსპეს მოწინააღმდეგის 15 საგუშაგო და საყარაულო კოშკი და აიძულეს მოწინააღმდეგე დაეტოვებინა კიდევ 8 საყარაულო კოშკი. ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა მწყობრიდან გამოიყვანეს საფრანგეთის 43 სამდინარო კატერი, 6 მატარებელი, დაანგრიეს ხანოი-ხაიფონის რკინიგზის მრავალი ხიდი და უბანი. ამ მოქმედების შედეგად ამერიკის იარაღისა და საომარი მასალის გადაზიდვა ხაიფონიდან ხანოიში თითქმის პარალიზებულია.

## ამერიკის დახმარება საფრანგეთის ჯარებისადმი ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ „ს-119" თვითმფრინავთა ესკადრილია გაიგზავნება ფილიპინებზე „ინდოჩინეთში საფრანგეთის ჯარების მომარაგების საქმეში დახმარების გასაწევად".

## სიძვირის ზრდა ჰოლანდიაში

ჰააგა, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დე ვაარჰეიდი" იუწყება, სავაჭრო წრეებში განაცხადეს, რომ უახლოეს დღეებში ყავის ფასი კვლავ გადიდდება დაახლოებით 18 პროცენტით. 1 მაისიდან გადიდდება საოჯახო მოხმარების ქვანახშირის ფასი. ამსტერდამში განზრახულია გადიდდეს ტრამვაის ტარიფები. ფოსტამ და ტელეგრაფმა გამოაცხადეს, რომ დიდდება საშინაო ქსელის ტელეფონის ტარიფები. მთელ რიგ ქალაქებში მოელიან წყლის ტარიფების გადიდებას. ჰაარლემში გამოცხადებულია, რომ 20 აპრილიდან დიდდება პურის ფასი.

ეს ფაქტები, წერს გაზეთი, მოწმობენ იმას, რომ მზადდება ფართო შეტევა მშრომელთა ცხოვრების დონეზე.

# თბილისი

ქალაქის ქრონიკა



თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-17 პოლიკლინიკასთან არსებობს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც სხვადასხვა გამოკვლევებით ხელს უწყობს ავადმყოფთა მკურნალობას. სურათზე: (მარჯვნიდან) ექიმები რ. თეგაშვილი, ჟ. პაპინაშვილი და ლაბორანტი ჟ. კოხრეიძე მუშაობენ სისხლისა და კუჭის წვენის გამოკვლევაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობა

წელს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილია სამ მილიონამდე მანეთი. კეთილმოწყობის სამუშაოები იწარმოებს თბილისის ათივე საკოლმეურნეო ბაზარზე.

სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მოეწყობა ახალი პავილიონი 100 სავაჭრო ადგილით. მნიშვნელოვნად ფართოვდება სამაცივრო მეურნეობა, რომელიც დღეღამეში დაამზადებს ტონანახევარ ყინულს.

კიროვის რაიონის დახურულ საკოლმეურნეო ბაზარში დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ახალი მძლავრი სავენტილაციო სისტემის მოსაწყობად. აქ დამატებით გაკეთდება ბეტონირებული დახლები, რეკონსტრუირებულ იქნება ელექტროქსელი და დაიკიდება დიდი ჭაღები. გადაწყვეტილია ამ ბაზარში მოეწყოს მექანიზებული ტვირთამწევები (ლიფტები) პროდუქტების ასატანად მეორე სართულში, გაუმჯობესდება სამაცივრო კამერები.

ნავარაუდევია აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრების ქსელის გაფართოება. 1954-1956 წლების განმავლობაში თბილისში აშენდება სამი საკოლმეურნეო ბაზარი — ორჯონიკიძის, მოლოტოვის და 26 კომისრის რაიონებში.

## კონფერენცია თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო კონფერენცია თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების საკითხებზე, რომელსაც დაესწრნენ თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორის, ზუგდიდის, სტალინირისა და სხვა თეატრების წარმომადგენლები — რეჟისორები, მხატვრები, თეატრების სადადგმო ნაწილის გამგეები, საწარმოო საამქროების გამგეები და მუშაკები.

კონფერენციამ მოისმინა მხატვარ თ. თავაძის მოხსენება სპექტაკლის შექმნაში სადადგმო და საწარმოო კულტურის მნიშვნელობის შესახებ, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ტაბლიაშვილის მოხსენება მხატვართან რეჟისორის მუშაობის შესახებ. მხატვრის როლზე სპექტაკლის შექმნაში მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ა. ფაღავამ.

## მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალური შეჯიბრება

საბჭოთა კავშირის XVI პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ქალთა შორის დასასრულს უახლოვდება.

როგორც ცნობილია, 14 მონაწილიდან ფინალში გადის პირველი სამეული. ამიტომ ბრძოლა ფინიშთან დაძაბულ ხასიათს იღებს.

მეშვიდე ტურით დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. ამ დროისათვის $5^1/_2$ ქულით ტურნირს ლიდერობდა ახალგაზრდა მოჭადრაკე ხაჭაპურიძე. მაგრამ მე-8 ტურში მან ალფეევსკაიასთან გადადებული პარტიის დამთავრებისას უხეში შეცდომით დამარცხება განიცადა და პირველი ადგილი გურფინკელს დაუთმო. მეორე და მესამე ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან ხაჭაპურიძე, სემიონოვა, კოგანი, ფილანოვსკაია, კაკაბაძე, გოლდბერგი და შეკალინა.

სუსტი სტარტი აიღო კაკაბაძემ, მაგრამ შემდგომ გამოასწორა მდგომარეობა და სამეულში მოხვედრის დიდ იმედებს იძლევა.

15 აპრილს შედგა მეათე ტური. ამ დღეს კაკაბაძისა და ხაჭაპურიძის პარტია ყაიმით დამთავრდა. კოგანმა მოუგო გრიგორიევას, კარცევამ — ალფეევსკაიას, გურფინკელმა — ნაგელს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები. ათი ტურის შემდეგ წინ არიან: გურფინკელი (8 ქულა), კოგანი (6½ ქულა), ფილანოვსკაია (6½ ქულა) და ხაჭაპურიძე (6 ქულა და 1 გადადებული პარტია მოსაგებ მდგომარეობაში).

ქ. გოგიავა.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

15 აპრილს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეთოთხმეტე პარტია. თეთრებით თამაშობდა ბოტვინიკი.

33-ე სვლაზე გაიმარჯვა სმისლოვმა. მატჩის ანგარიში გახდა 7:7.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

#### პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე

# რა ხდება ტაივანზე

კუნძული ტაივანი მდებარეობს კონტინენტური ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად. ჩინეთისაგან მას ჰყოფს ფორმოზის სრუტე, რომლის სიგანეა 120-200 კილომეტრი. ტაივანის საერთო ფართობი პესკადორის კუნძულებთან ერთად 36 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 7 მილიონამდე (98 პროცენტი ჩინელია). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუშაობს სოფლის მეურნეობაში; კუნძულზე მოჰყავთ ბრინჯი, შაქრის ლერწამი, კანაფი. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ძალიან სუსტად არის განვითარებული. ტაივანის მთელ ეკონომიკას მკაფიოდ გამოხატული კოლონიური ხასიათი აქვს, რადგანაც ამ კუნძულზე, რომელიც ჩინეთის ტერიტორიას წარმოადგენს, სიმდიდრეს ექსპლოატაციას უწევდნენ ჯერ იაპონელები, ხოლო ახლა ამერიკელი კოლონიზატორები.

ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში, როცა ტაივანი თითქმის უკაცრიელი იყო, იქ დასახლება დაიწყეს ჩინელებმა, და მას შემდეგ კუნძული ჩინეთის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ იაპონიამ 1894-95 წლების დამპყრობლური ომის დროს ჩინეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩინეთს წაართვა ტაივანი და პესკადორის კუნძულები და გადააქცია ისინი თავის კოლონიად. ამაში იაპონელ დამპყრობლებს დაეხმარნენ ამერიკელი იმპერიალისტები. ორმოცდაათი წელი იყო ტაივანი იაპონიის უღელქვეშ, და ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ტაივანელებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა დამმონებელთა წინააღმდეგ. ისინი სულ მუდამ იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ და საგრძნობ დარტყმებს აყენებდნენ მათ. ეს ბრძოლა იყო იმ საერთო ბრძოლის ნაწილი, რომელსაც აწარმოებდა ჩინელი ხალხი უცხოელთა მიერ ჩაგვრისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ.

* * *

გაანადგურეს რა ფაშისტური გერმანია, საბჭოთა ჯარებმა მოკლე ვადაში სასტიკად დაამარცხეს იაპონიის იმპერიალიზმის მთავარი დამკვრელი ძალა — კვანტუნის არმია, რომელიც განლაგებული იყო მანჯურიაში. საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებამ შექმნა ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების პირობები.

კვანტუნის არმიის განადგურებისთანავე მოხდა იაპონიის კაპიტულაცია. ტაივანის მშრომელმა მასებმა, ეს რომ შეიტყეს, დაიწყეს სახალხო კომიტეტების შექმნა იმისათვის, რომ იაპონელი ჯარებისაგან მიეღოთ კაპიტულაცია. კუნძულზე მოეწყო მუშათა თავდაცვის რაზმები, რომლებიც ეწეოდნენ იაპონიის ჯარების განიარაღებას, აძევებდნენ იაპონელ მოხელეებს. ტაივანის ხალხმა გადაწყვიტა რაც შეიძლება მალე მოეღო ბოლო იაპონიის ოკუპაციისათვის, რათა კუნძულზე დაემყარებინა დემოკრატიული წესწყობილება.

მაგრამ ასეთი წესწყობილება ყველაზე ნაკლებად აძლევდა ხელს ჩანკაიშელთა ხროვას. გომინდანელებმა თხოვნით მიმართეს ამერიკელებს „დახმარებოდნენ" მათ იაპონიის არმიისაგან კაპიტულაციის მიღებაში. ჩან კაი-შის ბრძანების შესაბამისად იაპონიის საოკუპაციო ჯარებს „კაპიტულაციის" უფლება ეძლეოდათ მხოლოდ გომინდანელთა და ამერიკელთა ნაწილების წინაშე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანებებოდნენ სახალხო-რევოლუციური არმიისა და სახალხო კომიტეტების წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, იაპონიის ჯარებს ამ ბრძანებით ევალებოდათ გომინდანელთა და ამერიკელთა ძირითადი ძალების მოსვლამდე ჩაეხშოთ კუნძულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მალე ტაივანელებმა კიდევ უფრო კარგად გამოიცნეს გომინდანელთა და მათი ამერიკელი ბატონების ნამდვილი სახე. კუნძულზე რომ გადასხდნენ, გომინდანელებმა დაიწყეს სახალხო-დემოკრატიული ორგანიზაციების განადგურება. კუნძულზე დამყარდა პოლიციური რეჟიმი.

მაგრამ ჩანკაიშელთა რეაქციის მძვინვარებამ ვერ გატეხა ტაივანის ჩინელი პატრიოტების ნებისყოფა. 1947 წლის იანვარში კუნძულზე დაიწყო შეიარაღებული აჯანყება გომინდანელებისა და მათი ამერიკელი ბატონების წინააღმდეგ. ამ აჯანყებას მეთაურობდნენ ხალხის საუკეთესო შვილები — კომუნისტები. აჯანყებულთა ცუდად შეიარაღებული რაზმები გმირულად ებრძოდნენ გომინდანელთა დივიზიებს, რომლებიც თავით ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ ამერიკული იარაღით. აჯანყება ხალხის სისხლში ჩაახშეს. დამსჯელებმა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დახვრიტეს 38 ათასი კაცი. ტაივანელებს თავს დაატყდათ წინანდელზე უფრო სასტიკი პოლიციური დევნა, სიძვირე, შიმშილი. ბრინჯის ფასები უმოკლეს ვადაში რამდენჯერმე გადიდდა.

ჩანკაიშელებთან ერთად ტაივანს მიაშურეს ამერიკელებმა, რომლებიც სხვის მიწებს ეპოტინებიან. ამერიკის სხვადასხვა მისიებმა ხელთ იგდეს ყველა მთავარი პოზიცია კუნძულის ეკონომიკაში. ამერიკელთა და გომინდანელ მოხელეთა „ერთობლივ" მართვაში გადავიდა 400-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და კომერციული ფირმა.

როცა დაიწყო ომი კორეაში, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ტრუმენმა უბრძანა ამერიკის მე-7 სამხედრო-საზღვაო ფლოტს ბლოკადის საფარით მოეხდინა ტაივანის ოკუპაცია, რათა დახმარება გაეწია ჩანკაიშელთა ხროვისათვის. ეს აქტი ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი აგრესია იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ტაივანსა და პესკადორის კუნძულებზე ამერიკელებმა მოაწყეს თავიანთი საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ბაზები. იქ ჩავიდა რამდენიმე ათასი ამერიკელი ინსტრუქტორი და სამხედრო სპეციალისტი, რომელთა ხელმძღვანელობით ხდება ჩან კაი-შის არმიების ნაშთების „მოდერნიზაცია", რომლებშიც, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 300-500 ათასი კაცი შედის. ჩანკაიშელთა გათელილი დივიზიებისათვის ოკეანის გაღმიდან მოდის თანამედროვე შეიარაღების ნაკადი. მაგალითად, ამას წინათ გომინდანელებს გადაეცათ ორი ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი.

ტაივანს ფართოდ იყენებენ ამერიკის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბლოკადისთვისაც. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით 1951 წლის იანვარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოიტანა სამარცხვინო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სახალხო ჩინეთი გამოცხადდეს „აგრესორად", ხოლო შემდეგ გადაწყვეტილება ჩინეთში საქონლის შეტანაზე ემბარგოს შესახებ, გომინდანელთა ბანდებმა, რომლებიც თავიანთი ოკეანისგაღმელი ბატონების ბრძანებას ასრულებენ, დაიწყეს ფორმოზის სრუტეში მეკობრული თავდასხმები გემებზე, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნავსადგურებისაკენ მიდიან.

ტაივანზე დამკვიდრებული ჩანკაიშელთა ხროვა, რომელსაც ამერიკელები მფარველობენ, აგრესიულ მოქმედებას ეწევა არა მარტო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ ბირმის ხალხის წინააღმდეგაც. როგორც ცნობილია, ჩანკაიშელი გენერლის ლის განადგურებული ბანდის ნაშთები 1949 წელს გადავიდნენ ბირმის ტერიტორიაზე. აქ, მდინარე სალუენის მარცხენა ნაპირზე, მათ მოახდინეს უდიდესი რაიონის ოკუპაცია, სადაც დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა, ბეგრავენ მას დიდი გადასახადებით. ხელმძღვანელობას, საომარ მასალებსა და იარაღს ბირმაში მოკალათებული გომინდანელთა ბანდები იღებენ ჩანკაიშელებისაგან ტაივანიდან.

ბირმის რამდენიმე საჩივრის შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გასული წლის აპრილში მოუწოდა ყველა ქვეყანას შეეწყვიტათ იარაღის მიწოდება ჩანკაიშელთა ჯარებისათვის ბირმაში და მიეღოთ ღონისძიებანი ამ ჯარების ტაივანზე ევაკუაციისათვის. შეიქმნა ევაკუაციის მეთვალყურე კომისია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მეთაურობით. მაგრამ საზღვარგარეთის ბევრი გაზეთი ამ ღონისძიებებს ადარებს იმას, რომ თხას მიანდო კომბოსტოს ბოსტნის დაცვა. აქამდე ბირმიდან ევაკუირებულია მხოლოდ დაახლოებით სამი ათასი გომინდანელი, ხოლო 10 ათასზე მეტი არც კი აპირებს ადგილიდან დაძვრას. ლონდონის „ტაიმსი" ამას წინათ იუწყებოდა, რომ გომინდანელები, რომლებიც ასრულებენ ტაივანის ბრძანებებს, აპირებენ დიდხანს განაგრძონ ბირმაში დაპყრობილი რაიონის ოკუპაცია და იქ აშენებენ ბანაკებისა და აეროდრომების ქსელს. მართებულია გავიხსენოთ, რომ ამ აეროდრომებზე ეშვებიან ეგრეთწოდებული „სამოქალაქო ავიატრანსპორტის კომპანიის" ამერიკული თვითმფრინავები. ამ კომპანიას ამერიკელი გენერალი ჩენოლტი მეთაურობს.

ტაივანზე მოკალათებული ჩან კაი-ში და მისი ხროვა ყველაფერს აკეთებენ, რაც მათზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ ჩაშალონ დროებითი ზავის დადება კორეაში. სამხრეთ კორეის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში იგზავნებოდნენ გომინდანელთა აგენტები, რომლებიც, როგორც დაამტკიცა ნეიტრალური ქვეყნების კომისიამ, ტერორს უწყობდნენ სამხედრო ტყვეებს და უსპობდნენ მათ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას. ასეთი სამხედრო ტყვე აღმოჩნდა დაახლოებით 14 ათასი, და ყველა ისინი გადასცეს ჩან კაი-შის. ახლა ეს ადამიანები განაწილებული არიან სამ ბანაკში ტაიბეისთან (ტაივანის მთავარი ქალაქი) და მათ ჩანკაიშელთა ჯარებში ჩასარიცხავად ამზადებენ.

„აზიელთა წინააღმდეგ ომი აზიელთა ხელით" — ამერიკის შეერთებული შტატების გაბატონებულ წრეებს ასეთი გზით სურთ განახორციელონ თავიანთი აგრესიული ზრახვები აზიაში. „უფრო იაფი და პოლიტიკურად პრაქტიკულია ჩან კაი-შის დივიზიების მხარდაჭერა, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა დივიზიების განლაგება", — განუცხადა დანიის ერთ-ერთ კორესპონდენტს თვალსაჩინო ამერიკელმა სამხედრო პირმა. ამ მიზნით, ახალი სამხედრო ავანტიურების მომზადების მიზნით, სურთ ამერიკის მონოპოლიებს შეინარჩუნონ ჩან კაი-შის ხროვა ტაივანზე. მაგრამ ეს არა სურთ აზიის ხალხებს, უწინარეს ყოვლისა დიდ ჩინელ ხალხს და მის იმ ნაწილს, რომელიც ტაივანზე ცხოვრობს.

მიუხედავად გომინდანელთა რეაქციის მძვინვარებისა და სასტიკი პოლიციური დევნისა, ტაივანელები არ წყვეტენ ბრძოლას გომინდანელთა რეჟიმისა და ამერიკელთა ოკუპაციის წინააღმდეგ. როგორ დაბრკოლებებსაც უნდა ქმნიდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, ტაივანი, როგორც განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ, ჩინეთის ნაწილია და მუდამ ჩინეთის ნაწილი იქნება.

ი. პავლოვი.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 17 აპრილს | ზ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი |
| 18 აპრილს | დღის 12 საათზე პ. ჩაიკოვსკი — იოლანტა; საღამოს პ. ჩაიკოვსკი — გედების ტბა |

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

ბიძა იაკინთე, ბიცოლა მარგარიტა, ბიძაშვილები ეკატერინე შვილებით ლიანათი და მედეათი, ვახტანგ შვილით დარეჯანით, სიძე გივი გოშაძე იუწყებიან ვარლამ ლუკას-ძე ღლონტის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 7 ს. გამოსვენება 18-IV, 4 ს. ბაღდათის ქ. № 7.

შვილები მიხეილ, მარგალიტა, თამარ, რძალი მარიამ, შვილიშვილები ნინო, ნათელა იუწყებიან ზაქარია მიხეილის-ძე ჯინჭარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 20.

მშობლები ანეტა, ალექსანდრე, ძმა მარლენი, და ნაზიკო, სიძე ნ. კარიპაშვილი, ბიძები ვანო, შალვა, ბიცოლები ნინო, სონია, მანია, ბიძაშვილები ვიქტორ, სპირიდონ, ცირა იუწყებიან ელგუჯა ალექსანდრეს-ძე მზარეულიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV, 5 ს. ხიდისთავში (გორის რ.).

მეუღლე გრიგოლ, მაზლები ვიქტორ, ვლადიმერ ოჯახებით იუწყებიან მარიამ ნიკიფორეს ასულ გაწერელია-ბერიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19-IV, 8 ს. გამოსვენება 20-IV, 6 ს. ფალიაშვილის ქ. № 36.

შვილიშვილები ლეილა, ლამარა გამსახურდიები, გულნარა, გურამ ღლონტები, ნანა, ნიკოლოზ, გუჯა მუჯირები, ზურაბ მხეიძე, რძალი ლამარა მაძალუა, სიძე ლევან ალექსიძე იუწყებიან ვერა ალმასხანის ასულ მუჯირის გარდაცვალებას.

მოქალაქე ვასილ ივანეს-ძე ხითარიშვილმა, მცხოვრებმა ნარიოს აღმართი № 54, აღძრა საქმე ყიფიანის ქ. № 33 მცხოვრებ მოქალაქე მარიამ ნიკოლოზის ასულ ხითარიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

თამარ, არსენ დარასელიები შვილებით ლეილათი, დოკუშათი და ბენიტოთი, ოთარ ბრეგვაძე შვილებით პაატათი და თემურით იუწყებიან ბიძაშვილისა და ბიძის ვანიონ ალექსის-ძე დარასელის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. ბინაზე, ლენინის ქ. № 54, გამოსვენება 18-IV, 3 ს. მწერალთა სახლიდან.

შვილები აგრაფინა ჭიჭინაძე, ივანე კემულარია, ლუბა კემულარია-ნათაძე, ელისაბედ კოვალიოვა, დავით გაბუჩია ოჯახებით იუწყებიან დესპინე გიორგის ასულ გაბუჩიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV სოხუმში.

ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების და სანეპიდსადგურის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე დაწესებულების თანამშრომელ ალექსანდრა როსტომის ასულ მგელაძის გარდაცვალებას.

მეუღლე მატრონე, შვილები შალვა, არტემ, ელენე, ვერა, მარიამ კალანდარიშვილები ოჯახებით იუწყებიან კირილე კალანდარიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IV სოფ. ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი).

ხეჩო, სონა, გიორგი, ედუარდ, ნაზიკო, ლეილა ხუციშვილები იუწყებიან სიძის და ბიძის ტიგრან მიხეილის-ძე ტატანაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 8 ს. გამოსვენება 18-IV, 3 ს. მლეთის ქ. № 4.

დისწული მარო ყუფარაძე იუწყება გიორგი ნიკოლოზის-ძე რუხაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-IV, 7 ს. გამოსვენება 18-IV, 4 ს. ვოლოდარსკის ქ. № 1.

მამა ილია, და თამარ, ძმები არსენ, სერგო, რძლები თამარ, ოლია, ბაბულია, ძმისწული ნათელა ლიჩელები იუწყებიან ნინო ილიას ასულ ლიჩელის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IV ბორჯომში.

გედევან, გრიგოლ, საშა, ლუბა, მარგარიტა და გიორგი ტომარაძეები, სულიკო, შალვა ჭუმბაძეები იუწყებიან სიძის ლუარსაბ სიმონის-ძე გოგლიძის გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხ. მდივნის — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00678

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.